# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 185 (6285)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge



ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## „რედისონი“ რას გვიზამდა, ქართულ ჯიგარს რომ გვატყობდეს!

**ღია წერილი-მიმართვა ქალაქ თბილისის მერს გიგი უგულავას და ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ზაალ სამადაშვილს**




იხ. 2 გვ.

*2 სექტემბრის საღამოს თბილისს კიდევ ერთი ახალი სასტუმრო შეემატა — „რედისონ სასად“ გარდაქმნილი გარემონტებულ-რეკონსტრუირებული „ივერიის“ შენობა. მრავალჯერ და ხაზგასმითაც კი აღნიშნეს ამ მოვლენის გაშუქებისას „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტებმა, ლაპარაკით თუ ტიტრებითაც, „რედისონ სას ივერია“ გაიხსნაო, მაგრამ, მოლა ნასრედინისა არ იყოს, რომ ამბობდა, რამდენიც არ უნდა იძახო ჰალვა, ჰალვა, პირში სიტკბოს ვერ იგრძნობო, რუსთაველთა ასეთი მოწადინების მიუხედავად, ამ შენობაზე ვერსად წამლადაც ვერ დავლანდე „ივერია!“ უფრო მეტიც — შენობაზე საერთოდ არ არის ერთი ქართული სიტყვაც კი!*

სწორედ ამით გამწარებულმა გამოვაქვეყნე ჩვენი გაზეთის მომდევნო, 4 სექტემბრის ნომერში მასალა **„აკი ქართულიაო, უფალო პრეზიდენტო?!“**

იმ წერილში დღევანდელი ქართველების უმეტესობა მოსაჭრელად გამიზნულ-განწირულ ხეს შევადარე, საწყალობლად რომ ამოიკვნესა — ცული რას დამაკლებდა, ჩემივე მერქნისგან გამოთლილი ტარი რომ არ ჰქონდესო.

სწორედ ამის გათვალისწინებით ვსვამდი კითხვას: **„რატომ გაუბედეს ეს ქართველებს „რედისონის“ შინაურ-გარეულმა ინვესტორებმა თუ მეპატრონეებმა?“**

## რუსული ეკლესია — აფხაზ სასულიერო პირთა წინააღმდეგ



**რუსული მართლმადიდებლური ეკლესია აფხაზი სასულიერო პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ მიესალმა.**

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გუშინ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსული მართლმადიდებლური ეკლესია არ მიესალმება აფხაზი სასულიერო პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისგან გამოყოფის შესახებ.

„ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ საზღვრებს“,— განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ღვთისმსახურმა იგორ იაკიმჩუკმა.

შეგახსენებთ, რომ სეპარატისტული აფხაზეთის ეკლესიამ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

„სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღიდან გამოდის“,— განაცხადა ამ ე.წ. ეპარქიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა ბესარიონ აპლიამ. ეს განცხადება აპლიამ აფხაზური ტელევიზიის ეთერში გააკეთა და დასძინა, რომ ეპარქიამ სახელიც გადაირქვა და ამჟამიდან მას აფხაზური მართლმადიდებლური ეკლესია ეწოდება.

აპლია ასევე აცხადებს, ეს გადაწყვეტილება სოხუმის კათედრალურ ტაძარში ყველა ღვთისმსახურის შეკრებაზე იქნა მიღებული.

მისივე თქმით, აფხაზეთის სასულიერო პირები აპირებენ მიმართონ მოსკოვის პატრიარქატს და მათ ეპარქიის გამოყოფის საკითხში მხარდაჭერა სთხოვონ.

## „არავის აქვს უფლება, გამოაცხადოს დამოუკიდებლობა დედაეკლესიის გარეშე“



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აფხაზეთის სასულიერო პირების განცხადებას არასერიოზულად მიიჩნევს.**

„აფხაზეთის სასულიერო პირების განცხადება არასერიოზული განცხადებაა,“ — განაცხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პარლამენტში, დეპუტატ თამაზ კვაჭანტირაძის წიგნის პრეზენტაციისას.

„ეს განცხადება ჩვენ სერიოზულად არ უნდა მივიღოთ. არავის არ აქვს უფლება გამოაცხადოს დამოუკიდებლობა დედაეკლესიის გარეშე,“ — ბრძანა უწმინდესმა.

## ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში



7

## სოსო ცისკარიშვილი: რომ არა ხელისუფლება, ოპოზიციის ახალ სპექტაკლზე ბილეთების გასაღება გაჭირდებოდა

2



## ვაჟა ოთარაშვილი: საქართველოს გზა მიდის არა ნატოსკენ და კატოსკენ, არამედ ტაოსკენ!..

9

## პუტოლდაუე ოსურად

4



ყური გვათხოვეთ, ხელისუფალნო!

# „რედისონი“ რას გვიზამდა, ქართულ ჯიგარს რომ გვატყობდეს!




(პირველი გვერდიდან)

და ბოლოში თავად ვუპასუხებდი მას: **„ყოველივე ქართულის ფეხებზეკიდია შინაური თუ გარეული რას დაგვაკლებდა, ჩვენივე ჯილაგის უჯიგრო უფროსობა რომ არ გვყავდეს!“**

სულ ბოლოს კი ვწერდი: **„ივერია გაბრწყინდებაო, ხშირად რომ გვიყვარს თქმა, სწორედ ის „ივერია“ გააბრწყინეთ, ბატონებო, გადაკეთებული ყოფილი სასტუმრო „ივერიის“ შენობაზე, თანაც „რედისონის“ თავზე...**

თუმცა, მოგცლია ერთი!

კვლავ არსაიდან ხმა...

მაგრამ რაკილა პირადად ჩემთვის, და დღევანდელი ქართველების უმეტესობისთვისაც, სიტყვა „ივერია“ მხოლოდ და მარტო სიტყვა თუ ტერმინი არ არის, ამას უკვე ვერ შევურიგდები და მინდა მივმართო ქალაქის ხელისუფლებას, ანუ ამ კონკრეტული შემთხვევისთვის კონკრეტულ პასუხისმგებელს.

უწინარესად მინდა ქალაქის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს ისევ შევახსენო რამდენიმე პუნქტი „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, რომელიც ჩვენი გაზეთის 4 სექტემბრის ნომრის პირველ გვერდზეც დავბეჭდეთ:

**„რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე... უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.**

**ორენოვანი მანათობელი წარწერის გამოყენების შეთხვევაში აუცილებელია, ობიექტზე გაკეთებული ყველა წარწერა (ქართულიც და უცხოურიც) იყოს ერთნაირად განათებული და კითხვადი“.**

კანონის ამ მოთხოვნებიდან ერთი მაინც არის დაცული „რედისონის“ შემთხვევაში, ბატონო გიგი და ბატონო ზაალ (სხვა შემთხვევებზე, უფრო სწორად, უამრავზე უამრავ კანონდარღვევაზე სხვა წერილში, უმჯობესი იქნება ვთქვა, წერილების სერიალში მოგითხროზთ მალექ?

ან იქნებ „რედისონის“ შინაურგარეულმა ინვესტორებმა თუ მეპატრონეებმა თავის დროზე რაიმე ისეთი ხელშეკრულება გააფორმეს შესაბამის ქართველ ჩინოვნიკებთან, მათ რომ ათავისუფლებს ქართველებისა თუ ყოველივე ქართულის წინაშე რაიმე ვალდებულებისგან (თუ მართლაც ასეა, ეს მხოლოდ ამ ჩინოვნიკების დოყლაპიობა-არაგულქართლობით არ აიხსნება!ქ?

ასეც რომ იყოს, ჯერ ერთი, ვერანაირი ხელშეკრულება ვერ დადგება კანონზე მაღლა და, მეორეც, ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება, ცენტრალური იქნება იგი თუ ადგილობრივი, რატომ ჩირადაც არ აგდებს ქართველ კანონმდებლებსა და ქართულ კანონმდებლობას, ამ შემთხვევაში თუნდაც საქართველოს კანონს „რეკლამის შესახებ“, რომლის მეორე თავის მეხუთე პუნქტში წერია, რომ: **„რეკლამაში ენობრივი ნორმების დაცვის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით?“**

გულგრილად რატომ უყურებთ და ურიგდებით იმას, ბატონებო, რომ არმად, ძარცვა-გლეჯით ნაშოვნი ფულით გაძსუებული შინაური თუ გარეული „ინვესტორები“ ძალიან ხშირად ფეხის გასაწმენდ ტილოსავით იყენებენ ქართულ კანონმდებლობას და ყოველივე ქართულს?

თუმცა, ვგრძნობ, სრულიად ზედმეტია მორალის კითხვა თუ ვინმეს ნამუსზე შეგდება.

საკითხი კანონმა უნდა გადაწყვიტოს.

ამიტომ ჯერ კიდევ ერთი ამონარიდი „რეკლამის შესახებ“ კანონიდან, ბატონო გიგი და ბატონო ზაალ:

**„ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო: ... იღებს გადაწყვეტილებას არასათანადო რეკლამის სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებასა და კონტრრეკლამის განხორციელებაზე; უფლება აქვს, რეკლამის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დამრღვევს კანონით დადგენილი წესით დააკისროს ადმინისტრაციული სახდელი; უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე“.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, ბატონო გიგი და ბატონო ზაალ, მიიღოთ შესაბამისი, ქართული კანონმდებლობის, ქართული სულის შესატყვისი სამართლიანი გადაწყვეტილება, რადგან, კვლავ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე თავის მეორე პუნქტის შესაბამისად, **„დამრღვევი“** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში „რედისონის“ შინაური თუ გარეული ინვესტორ-მეპატრონექ) **ვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს გადაწყვეტილების გაცნობიდან დაუყოვნებლივ შეაჩეროს არასათანადო რეკლამა და 10 დღეში გაავრცელოს კონტრრეკლამა“.**

**ანუ, „ივერიას“ კუთვნილი ადგილი მიუჩინოს აღდგენილ-რეკონსტრუირებული შენობის ყველა შესატყვის ადგილას თუ დოკუმენტ-რეკვიზიტზე** (მხოლოდ რესტორნის კაზინოს სკამის საზურგეზე წარწერილი (ისიც მარტო ინგლისურადქ „ივერია“ არ შველის საქმეს! ეს, მე თუ მკითხავთ, ამ სიტყვის და, საერთოდ, ქართველობის დაცინვაა!ქ.

იმედია, ამას ოპერატიულად გააკეთებთ, ბატონო გიგი და ბატონო ზაალ!

ამის გამოისობით იმედია, არც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას დასჭირდება სასამართლოსთვის მიმართვა!

— ჰო, ჰო, სასამართლოს მიმართავთ, თორემ ერთბაშად არ მიაღწიოთ სამართალს! — თითქოს ცხადად ჩამესმის ჩვენი „რეფორმირებული“ სასამართლოს მიერ მრავალგზის „ქმნილი მართლისა სამართლისგან“ გულგატეხილი მავანი ოპონენტის ირონიული ქირქილი.

არა, ჩემო იმანო, არც იმდენად გულუბრყვილო ვარ, ამისი წყალგაუვლად მჯეროდეს, მაგრამ თუ სასამართლოში საქმე ქველებურად „გაირანდა“, მაშინ ხომ ყველანი კიდევ ერთხელ თვალნათლივ დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ხელისუფლების მტკიცების საწინააღმდეგოდ, ჭეშმარიტი დემოკრატიის შუქურა სახელმწიფო კი არა, მართლაცნიფნიფაისათუნუფნუფის „სასახლეების“ მსგავსი ჩალით დახურული ხუხულაღა აგვიშენებია.

**ასეთ „სამოთხეში“ კი არა მგონია, დიდხანს ისურვოს ცხოვრება ქართველმა ხალხმა.**

**თუმცა, იმედი მაქვს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თქვენი ოპერატიული ჩარევა-გამოხმაურების გამოისობით, ბატონო გიგი და ბატონო ზაალ, საქმე აქამდე არ მივა!**

**რუსლან რუსია**

---

ვნახოთ

**როგორ განვითარდება, სავარაუდოდ, ახალ პოლიტიკურ სეზონზე მოვლენები საქართველოში; რამდენად შეიძლება, იმოქმედოს ოპოზიციის გააქტიურებაზე ტალიავინის მისიის დასკვნამ და რა შეიძლება მოჰყვეს ქვეყანაში ლუსტრაციის კანონის ამოქმედებას, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**



# სოსო ცისკარიშვილი: რომ არა ხელისუფლება, ოპოზიციის ახალ სპექტაკლზე ბილეთების გასაღება გაჭირდებოდა

**— ბატონო სოსო, თეატრალურ ტერმინს თუ მოვიშველიებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ახალი პოლიტიკური სეზონი გახსნილია. თქვენი აზრით, როგორ შეხვდნენ ახალ პოლიტიკურ სეზონს პოლიტიკური სცენის ძირითადი აქტიორები?**

— არა მხოლოდ თეატრალურ ტერმინოლოგიას, არამედ თუ ქართულ თეატრალურ რეალობასაც მოვიშველიებთ, გეთანხმებით, რომ სპექტაკლის დაწყების მაუწყებელი სამივე ზარი უკვე დაირეკა, რადგან დანიშნული და გამოცხადებული დრო - სექტემბერი დადგა. მაგრამ, ალბათ უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში მაინცდამაინც ფეხმარდი მაყურებელი არ არის და სპექტაკლები 10-15 წუთის დაგვიანებით იწყება ხოლმე. ახლა სწორედ ის პერიოდია, როცა დარბაზი სავსეა მომლოდინე ხალხით, მაგრამ ფარდა მაინც არ იხსნება. რა ხდება ფარდის უკან? ამაზე ფიქრობს თითოეული მაყურებელი. კანტიკუნტად დარბაზში ტაშიც ისმის ფარდის უკან გატრუნული მსახიობების გასამხნევებლად, მაგრამ ფარდა დუმს. ჩემი აზრით, სიტუაცია არცთუ ორდინარულია, რადგან ეს უფრო მეტყველი დუმილი გახლავთ. დარბაზში თითოეულ მსხდომს ეს დუმილი თავისებურად ესმის.

როდის გაიხსნება ფარდა? ცხადია, ამ სპექტაკლს რომ ერთი რეჟისორი ჰყავდეს, ალბათ ასეთი დაყოვნება ფარდის გახსნამდე არ იქნებოდა. როცა რეჟისორთა გუნდი ერთიანი იყო, დიდი ხნით ადრე გამოცხადდა, რომ სპექტაკლი დაიწყებოდა ზუსტად 9 აპრილს. ეს რეჟისორთა გუნდი უკვე სხვადასხვა კუთხეში გადანაწილდა, ამის მიმანიშნებელია სწორედ ის, რომ გამოცხადებული შემოდგომა დადგა, მაგრამ ჯერ კიდევ არის მცდელობა, რომ შემოდგომის პირველი თვე მთლიანად იყოს სამზადისი და - არა რამე კონკრეტული ქმედების დაწყების პერიოდი.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს და მართლა სპექტაკლზე არ წარმოვიდგინოთ თავი, ჯერ უნდა გავაანალიზოთ, რაც იყო წინა სპექტაკლის შემდეგ. გაზაფხულის სპექტაკლი ბევრისთვის მოულოდნელად დასრულდა. პრაქტიკულად, სპექტაკლის შემდეგ ფარდის წინ პუბლიკისთვის თავის დასაკვრელად აღარავინ გამოცხადებულა. დაბნეული მაყურებელი დაუკმაყოფილებელი გრძნობით, მოქმედ პირთათვის დამსახურებული ტაშის გარეშე დაიშალა. მათი ხელახლა მოზიდვა, რასაკვირველია, სპექტაკლის გახმოვანებულ ინტრიგაზეა დამოკიდებული. გადის დრო და ამ სპექტაკლს რეკლამას უკეთებს არა მონაწილეთა გუნდი, არამედ მათ მოწინააღმდეგეთა ერთობა, რასაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ჰქვია. სწორედ ამიტომ არის ეს თეატრალური დარბაზი ხალხით გადაჭედილი და არის მდუმარე მოლოდინი და ფიქრი, როდის აიხდება ფარდა.

ახლა მოდით, ასე ვთქვათ — რა გვეგულება ფარდის უკან? მე მგონი, პირველ ყოვლისა, ყველაზე ძლიერი იარაღი, რაც აქვთ სცენის ოსტატებს, ეს გახლავთ მართალი და დამაჯერებელი სიტყვა და სიტყვა გაუტეხელი. აი, ასეთი სიტყვის მომლოდინეა დღეს თეატრალურ დარბაზში გატრუნული მაყურებელი. არანაირი მიკიბ-მოკიბვა, ქილიკი არ იქნება. თუ რამე ტიპის სიყალბე შეამჩნია სცენაზე, მიუხედავად იმისა, რომ სიყალბის ნიაღვარი ყოველდღიურობად იქცა თეატრის გარეთ, მაინც ამ მცირე სიყალბის მიმართ მიმტევებელი მაყურებელიც აღარ ჩანს და პირველივე სცენის დასრულებამდე დარბაზი უმალ დაცარიელდება. ამას აცნობიერებს მსახიობთა გუნდი, რომელიც ფარდის მიღმაა და უკანასკნელ შტრიხებს ათანხმებს, როლებს ანაწილებს და ცდილობს, ცალკეული სურათის წარმოდგენაზე ჰქონდეს პრეტენზია თითოეულ გუნდს, ვიდრე - მთლიანად სამმოქმედებიანი პიესაზე.

**— თქვენი აზრით, რა ხდება ოპოზიციაში?**

— ფარდის უკან, სწორედ ოპოზიციურ დასს ვგულისხმობდი. მოხდა ის, რაც ალბათ უნდა მომხდარიყო - თეატრალური დასი მცირე ჯგუფებად დაიშალა. ერთიანი დასი, რომელმაც წარმოადგინა პირველი სპექტაკლი, უკეთეს შემთხვევაში, ერთმანეთთან უზრად დარჩენილ ჯგუფებად დაიშალა. ერთიანობის იდეა, სურვილი ჰაერში ჩამოკიდებული დარჩა და ახლა მისი განვითარების პერსპექტივა ნაკლებია. ეს კი მაყურებლის გემოვნებაზეა, ვინ მოიწონებს განახლებული სპექტაკლის დროს სხვადასხვა სცენის წარმოჩენას სხვადასხვა გემოვნებისა და ნიჭის აქტიორთა მიერ ან ვის მოენატრება ისევ ერთიანი გუნდი, მსახიობთა ქორო, მძლავრად წარმოჩენილი ერთიანობაში. მაგრამ შედეგისკენ, ოპტიმისტური ფინალისკენ მიმავალი გზისთვის აუცილებელია არა მსახიობთა სიმრავლე, არამედ, პირველ ყოვლისა, კლასი. სწორედ ეს ეტაპი უდგას ამ თეატრალურ გუნდს, სავსეს ნიჭიერი შემსრულებლებით, მაგრამ ნიჭიერი შემსრულებელი ერთდროულად ნიჭიერი რეჟისორი ყოველთვის არ არის, უფრო მეტიც, ძალიან იშვიათად არის. ვნახოთ, როგორი რეჟისურით წარმოაჩენენ ისინი საკუთარ სცენებს. ჯერ ამაზე ჩამოყალიბებული აზრი არ არსებობს.

**— ერთიანობის შთაბეჭდილებას ხელისუფლებაც არ ტოვებს. აშკარაა, რომ პრეზიდენტის გუნდში სხვადასხვა დაჯგუფებები გამოიკვეთა. თქვენი აზრით, რა ცვლილებები ხდება მმართველ გუნდში?**

— ნებსით თუ უნებლიეთ, სიხარულით თუ მწუხარებით, ხელისუფალთა გუნდი მოწმე იყო გაზაფხულის სპექტაკლის და რეაგირებაც თავად ამ გუნდში არაერთგვაროვანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იხტიბარს არავინ იტეხდა, მაინც რეალობის განცდა ხელისუფლებაში საკმაოდ ადეკვატური იყო. ძალაუნებურად, ლოზუნგი - „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, ზოგიერთის გონებაში ტრანსფორმირდა ფრაზად — ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო. ეს შეუმჩნეველი, ცხადია, არ რჩებოდათ თავად ლოზუნგის ავტორებს და იღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. ამავე დროს, შესაძლებელია, ეს უკვე იყოს სიმპტომები შემოდგომის ბუზის კომპლექსისა, რომელიც მწარედ იკბინება. ისტორიული კანონზომიერებით, შემოდგომის ბუზის მწარე კბენა იმას ნიშნავს, რომ თავისი არსებობის უკანასკნელ ეტაპს გადის. ასეა თუ ისე, მოდით დავაკვირდეთ, რატომ ცდილობს ხელისუფლება რაც შეიძლება მეტი ხალხი მივიდეს ჩვენს მიერ აღწერილი სპექტაკლის სანახავად? მერწმუნეთ, რომ არა ხელისუფლება, ოპოზიციის ახალ სპექტაკლზე ბილეთების გასაღება გაჭირდებოდა. ფერი ფერსა და მადლი ღმერთსა. რასაკვირველია, ოპოზიცია და ხელისუფლება უერთმანეთოდ ვერც აკადემიურ სპექტაკლს დადგამენ, ვერც საცირკო წარმოდგენას და ვერც „ბერიკაობასა“ და „ყეენობას“ ვერ შემოგვთავაზებენ. აღდგომა და ხვალეო, ჩვენ დარბაზში ვსხედვართ...

იხ. 6 გვ.

განსჯა

# მალხაზ მაცაბერიძე: დრო რუსეთის სასარგებლოდ ნამდვილად არ მუშაობს

***რუსეთ-საქართველოს ომის საკითხებზე მომუშავე ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომის შედეგებზე, გაეროს ასამბლეის მიერ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების შესახებ რეზოლუციასა და სხვა სახელმწიფოებში მოქალაქეთა დაცვის შესახებ რუსეთის სათათბიროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს მალხაზ მაცაბერიძეს ესაუბრა.***

**— ბატონო მალხაზ, როგორ შეაფასებდით რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებთან დაკავშირებით ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომის შედეგებს და რას შეიძლება ველოდოთ ამავე საკითხებზე თვის ბოლოსთვის დაგეგმილ ევროსაბჭოს საშემოდგომო სესიისგან?**

— ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომა დამთავრდა იმ შედეგით, რასაც მოელოდნენ ქართველი ექსპერტები, კერძოდ, რადიკალური სანქციები რუსეთის მიმართ მიღებული არ იქნება, მაგრამ ევროსაბჭო იძულებული გახდება, რუსეთისადმი წაყენებული მოთხოვნები გაამკაცროს. ევროსაბჭო რთულ მდგომარეობაშია იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთი, როგორც პოლიტიკური მოთამაშე, ძალიან ცინიკური პოლიტიკის გზას ადგას და აგვისტოს ომის შედეგებთან დაკავშირებით დემონსტრაციულად არ ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციების მითითებებს. რუსეთი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ევროპა მის მიმართ სანქციებს არ მიიღებს, ხმის უფლებას არ ჩამოართმევს, არ გარიცხავს და ასე შემდეგ.

ევროპის საბჭო მართლაც არ არის ასეთი გადაწყვეტილების სასარგებლოდ განწყობილი, ყოველ შემთხვევაში, მისი უმრავლესობა, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი იზოლირებული იქნება და მასზე ზეწოლის საშუალებები მნიშვნელოვნად შემცირდება. მაგრამ ის, რომ რუსეთი ამ პოლიტიკას აგრძელებს, თავისებურად ევროპის საბჭოს დისკრედიტაციას იწვევს, პირველ რიგში რუსეთის იმ საზოგადოების თვალში, რომელიც ველიკოდერჟავულად არის განწყობილი. ამ მსოფლმხედველობის ადამიანებში იზრდება კიდეც რუსეთის ხელისუფლების რეიტინგი. მათ თვალში მედვედევ-პუტინის ტანდემი წარმოჩდება, როგორც ძლიერი და ქვეყნის ინტერესების დამცველი, რომელიც დასავლეთში იმ ადამიანებს ასწავლის ჭკუას, ვინც რუსეთს სათანადო პატივს არ მიაგებს.

მაგრამ ევროპის საბჭო იძულებული გახდა, დაეწესებინა კონკრეტული ვადა და რუსეთისგან მოითხოვა აგვისტოს ომთან დაკავშირებით ადრე მიღებული რეზოლუციების შესრულება. ამ მხრივ ევროპის საბჭოს მანევრის შესაძლებლობა შემცირდა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლება, ევროსაბჭოს ერთ-ერთ წევრს უსასრულოდ გადაუვადო იმ მოთხოვნების შესრულება, რომლის შესრულებასაც სთხოვ. ევროსაბჭო იძულებული იქნება, 2010 წლის იანვარში მაინც კიდევ უფრო გაამკაცროს რუსეთის მიმართ მოთხოვნები. ჩემი აზრით, ევროპის საბჭოს რეზოლუციას უნდა შევხედოთ არა იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთს აიძულებენ, მოკლე ვადებში გაიყვანოს თავისი შეიარაღებული ძალები საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან, არამედ საერთაშორისო აზრისთვის ბრძოლის თვალსაზრისით. ამ ასპარეზზე რუსეთი წარმოჩნდება აგრესორისა და ისეთი ქვეყნის როლში, რომელზეც არ მოქმედებს ცივილიზებული მეთოდები, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგანაც ევროპის საბჭო და მისი წევრი ქვეყნები აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მოითხოვენ რუსეთისგან „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოს შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას, საქართველოდან ჯარების გაყვანას, სარკოზი-მედვედევის შეთანხმების პირობების შესრულებას.

დრო რუსეთის სასარგებლოდ ნამდვილად არ მუშაობს, დასავლეთი რაც უფრო მალე გააკეთებს დასკვნებს რუსეთის მიმართ, უფრო თავისუფალი იქნება იმ ილუზიებისგან, რომ მედვედევ-პუტინის რუსეთი ცივილიზებული გახდება.

არ გამოირიცხება ევროკავშირსა და აშშ-ს მხრიდან რუსეთთან „ცივი ომის“ შესაძლებლობა. ეს ცუდი იქნება საქართველოსთვის, ვინაიდან საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიულობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს გარემოება ქართველ პოლიტიკოსებს მეტი სიფრთხილის ვალდებულებას აკისრებს. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ კვლავ ძალა გამოიყენოს.

**— მას შემდეგ, რაც რუსეთის სათათბირომ პრეზიდენტ მედვედევის ინიციატივით კანონში მიიღო შესწორება სხვა ქვეყნებში რუსეთის მოქალაქეების დასაცავად ჯარის გამოყენების შესახებ, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან აგრესიის ალბათობა და კრემლის მოქმედების სავარაუდო სცენარებიც გამოიკვეთა. . .**

— ის ცვლილებები, რაც რუსეთის თავდაცვის შესახებ კანონში შევიდა, მედვედევს აძლევს უფლებას, იმოქმედოს ერთპიროვნულად რუსეთის საზღვრებს გარეთ სამხედრო ძალის გამოყენებისას. აქ მართლაც გამოიკვეთა პუნქტები, თუ რა მიმართულებით აპირებს რუსეთი მოქმედებას ჯარის გამოყენების თვალსაზრისით. აქ რუსეთის მოქალაქეების დაცვაზე ერთი პუნქტია, ამის გარდა, კანონში საუბარია სხვა სახელმწიფოების დაცვაზე, ანუ იმ სახელმწიფოებზე, რომელთა არსებობას მხოლოდ რუსეთი ცნობს. საუბარია, ასევე, ზღვაზე მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს ხდება ქართული გემების ჩაძირვის შესახებ ბალაფშის მუქარების ფონზე. ასევე, ერთი პუნქტი ეხება სხვა სახელმწიფოებში რუსეთის სამხედრო ძალების დაცვის საკითხებს.

ყველა ეს პუნქტი შესაძლებელია, გამოყენებული იყოს საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ეს არ მოხდება მყისიერად, მას რუსეთი აუცილებლად წაუმძღვარებს საინფორმაციო ფონის შექმნას, რომ შემდეგ გაამართლოს თავისი მოქმედება.

ჩვენ ვიცით, როგორ ჩნდებოდნენ რუსეთის მოქალაქეები რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ რუსეთი შეეცდება ანალოგიური სცენარით მოქმედებას. არ არის გამორიცხული, რომ უცბად ჯავახეთში გამოჩნდეს რუსეთის ბევრი მოქალაქე. რუსეთი შეიძლება, შეეცადოს ყაზბეგის რაიონში პასპორტების დარიგებას. ყველაფერ ამას დიდი ყურადღების მიქცევა და რუსეთის სავარაუდო გეგმის მხილების მიმართულებით მუშაობა სჭირდება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა რუსეთს აგრესიის განხორციელების შესაძლებლობა შეუმცირდეს.

**— როგორი შეიძლება იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია რუსეთის სათათბიროს გადაწყვეტილებაზე? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ 2001 წელს, როცა რუსეთმა შესწორებები შეიტანა „კანონში მოქალაქეობის შესახებ“, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებლებს რუსეთის მოქალაქეობის მიღების საშუალება მიეცათ, რუსეთმა საერთაშორისო თანამეგობრობის რეკომენდაციების გათვალისწინებაზე უარი თქვა... ახლა რისი იმედი შეიძლება გვქონდეს?**

— რუსეთი გათვლის, თუ რა დაუჯდება შესაძლო აგრესიული ნაბიჯი, როგორი იქნება მასზე დასავლეთის რეაქცია. კანონი, რომელიც რუსეთის სათათბირომ მიიღო, ცხადია, მიმართული არ არის ყველა ქვეყნის წინააღმდეგ. იგი ვერ გაბედავს ამ კანონის ნატოს წევრი ქვეყნების წინააღმდეგ გამოყენებას. რუსეთში იციან, რომ ამ შემთხვევაში რეაქცია მისთვის ძალიან მძიმე იქნება. ეს კანონი გათვლილია დსთ-ს იმ წევრი ქვეყნების დასაშინებლად, რომელთა პოლიტიკაც რუსეთს არ მოსწონს. ეს პირველ რიგში დსთ-დან გასულ, მაგრამ რუსეთის გავლენის ქვეშ სანახევროდ დატოვებულ საქართველოს ეხება. ეს ეხებათ იმ ქვეყნებსაც, რომლებიც რუსეთისთვის შესაძლოა, არასასურველი პოლიტიკის გატარების გზას დაადგნენ.

თუ რუსეთი დაინახავს, რომ მის მოქმედებაზე დასავლეთის რეაქცია იქნება მკაცრი, ე.წ. წითელ ხაზს არ გადალახავს, ანუ მთავარია არა საერთაშორისო სამართლებრივი ბერკეტები, არამედ სავარაუდო რეაქციის სიმკაცრე, რომელიც უნდა მოჰყვეს რუსეთის სავარაუდო მოქმედებებს.

**— გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების შესახებ რეზოლუციას. რეალურად, რა როლის შესრულება შეუძლია გაეროს ასამბლეის ამ რეზოლუციას?**

— ეს არის ე. წ. ჰუმანიტარული რეზოლუცია, რომელთა წინააღმდეგ ხმის მიცემა, უბრალოდ, შეუძლებელია, რადგანაც აქ საუბარია არა პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაზე, არამედ იმაზე, რომ ადამიანი უნდა დაბრუნდეს თავის საცხოვრებელ ადგილში, საიდანაც ძალის გამოყენებით გამოაგდეს. ამის წინააღმდეგ რუსეთს ბრძოლა ძალიან გაუჭირდება. ეს რეზოლუციაზე კენჭისყრის დროს მკაფიოდ გამოჩნდა. ესეც არის ბრძოლა საერთშორისო საზოგადოებრივი აზრის მხრდაჭერის მობილიზებისთვის, ევროსაბჭოს ძალისხმევა იგივე მიმართულებით შეიძლება აქტიურად იქნეს გამოყენებული, რადგანაც ყოველი ასეთი ჰუმანიტარული გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს ადამიანების უსაფრთხოდ ყოფნას თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, საიდანაც ისინი ეთნოწმენდის შედეგად რუსებმა და სეპარატისტებმა გამოყარეს, კიდევ უფრო დიდ მხარდაჭერას მოიპოვებს, ვიდრე მოთხოვნა — დაუყოვნებლივ იქნენ გაყვანილი ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარები. ამის წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთს გაუჭირდება.

დევნილების ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნება გულისხმობს საერთაშორისო მექანიზმების შექმნას, რაც მნიშვნელოვანი, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რადგანაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მისიებს თავისუფალი გადაადგილებისა და კონტროლის საშუალება მიეცემათ.

**კობა ბენდელიანი**



სტუმრად სამშობლოში

# საქართველოში ინერგება ამერიკული პოპულარული სამედიცინო მეთოდები

**დღესდღეობით საქართველოში ბევრი კეთილმოწყობილი და კომფორტული საავადმყოფოა.**

ერთ-ერთი ასეთი კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტია, რომელსაც საზოგადოება ფრიდონ თოდუას ცენტრის სახელით იცნობს. მედიცინა რომ წინ სწრაფი ტემპით მიდის, ეს უკვე არავის უკვირს. ბევრი ქართველი საზღვარგარეთ წარმატებული ექიმია, ბევრი უცხოელიც საქართველოში იმისთვის ჩამოდის, რომ ჩვენს ექიმებს მედიცინის ახალი მეცნიერული კვლევები და მეთოდები გააცნოს.

15 სექტემბერს თოდუას ცენტრში კიდევ ერთმა ცნობილმა ქართველმა და წარმატებულმა ექიმმა სოზარ ჩხენკელმა წაუკითხა მოხსენება დამწყებ ექიმებს და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მომავალში ამ პროფესიას შეეჭიდებიან.

იგი 14 წელიწადია ჩიკაგოს უნივერსიტეტში სამეცნიერო ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტში მუშაობს, სადაც კვლევისა და პრაქტიკულ კლინიკურ სამუშაოს ატარებს. მან ექიმებს კიდევ ერთხელ აუხსნა და სლაიდების მეშვეობით განუმარტა ის თანამედროვე ტენდენციები, რომლითაც ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის სპეციალისტებს უფრო გაუადვილდებათ მუშაობა. სოზარ ჩხენკელმა ექიმებს საჩუქრად სამი კომპაქტური დივიდი დისკი ჩამოუტანა, სადაც 250-საათიანი ლექციებია ჩაწერილი ნევროლოგიასა და ნეიროქირურგიაში.

როგორც ბატონმა ჩხენკელმა აღნიშნა, იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს ზურაბ ვადაჭკორიასაც შეხვდა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას 2 კომპაქტდისკი გადასცა საჩუქრად, რომელიც ზურგის ტვინის თანამედროვე მკურნალობას მოიცავს.

ასევე, სოზარ ჩხენკელმა მოხსენება წაიკითხა ავერსის კლინიკაში ეპილეფსიის შესახებ. კლინიკას კი საჩუქრად კომპაქტდისკი გადასცა, რომელიც ექიმებს ეპილეფსიით დაავადებულთა განკურნებაში ახალი მეთოდებით დაეხმარება.

საბოლოოდ, სოზარ ჩხენკელი კმაყოფილებას არ მალავდა, რომ მიეცა საშუალება, ქართველი ექიმებისთვის ფართოდ გაეცნო მედიცინის ის პოპულარული მეთოდები, რომელსაც ამ დროისთვის ამერიკაში იყენებენ. ექიმი სამშობლოს ორ დღეებში დატოვებს, თუმცა იმედოვნებს, რომ მალე ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნდება და წარმატებულ კარიერას აქ გააგრძელებს.

**ხატია მუსერიძე.**

№ 185. ხუთშაბათი, 17 სექტემბერი, 2009 წელი.

ხედვა

*9 სექტემბერს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ დიმიტრი მედვედევის სამხედრო ინიციატივას პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა. მედვედევის საკანონმდებლო ინიციატივა ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამხედრო კონტინგენტის ოპერატიულად გამოყენების წესებს განსაზღვრავს. დოკუმენტში დაზუსტებულია, რა შემთხვევაში აქვს რუსეთის შეიარაღებულ ძალებს საზღვარგარეთ სამხედრო მოქმედებების ჩატარების უფლება. კანონპროექტში ოთხი ძირითადი პუნქტია ჩამოყალიბებული. კერძოდ, თადაცვის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში რუსეთის შეიარაღებულ ძალებს საზღვარგარეთ სამხედრო მოქმედებების ჩატარების უფლება მიეცემათ საზღვარგარეთ დისლოცირებულ რუსულ სამხედრო ბაზებზე თავდასხმის, სხვა სახელმწიფოს თხოვნით ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის მოგერიების აუცილებლობის, საზღვარგარეთ მცხოვრები რუსი მოქალაქეების დაცვის აუცილებლობის, სხვადასხვა შიდა წყლებში მეკობრეობის აღკვეთის აუცილებლობის შემთხვევაში. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა აფხაზი სეპარატისტებისა და კრემლის მორიგი მუქარისშემცველი განცხადებები, რომელიც „ქართველი მეკობრეების გემების ჩაძირვას“ ეხებოდა, ქართულ საზოგადოებაში კი კვლავ გაჩნდა ავი მოლოდინი, რომელიც საომარი მოქმედებების ამჯერად საზღვაო აკვატორიაში განახლებას უკავშირდება. შესაძლო საფრთხეებზე „პირველი“ კენტის უნივერსიტეტის (Kent State University, აშშ) პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტს ვასილ რუხაძეს ესაუბრა.*



# „სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ერი უზრუნველყოფს და არა რომელიმე მილსადენი“

**— ბატონო ვასილ, როგორ შეაფასებდით რუსეთის პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს? ხომ არ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მიმართ განხორციელებული აგრესიისა და სამომავლოდ რუსეთის, ასე ვთქვათ, ურჩი მეზობლების მიმართ ყველა მსგავსი ნაბიჯის დაკანონების მცდელობაა?**

— ამ საკანონმდებლო ინიციატივით თუ მის გარეშე, დღევანდელი რუსეთი რევანშისტული, ნეოიმპერიალისტური სახელმწიფოა, რომელიც ემუქრება არა მარტო მისი მეზობელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეროვნულ უსაფრთხოებას და სუვერენიტეტს, არამედ სხვა ქვეყნებსაც, განსაკუთრებით — აღმოსავლეთ ევროპაში. ამ თვალსაზრისით ამ კანონის მიღებით ან არმიღებით არსებითად არაფერი იცვლება: ცხადზე უცხადესია, რომ პუტინისტური რუსეთი ევრაზიის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სივრცეში საშიში აგრესორია. ამ კანონის უმთავრესი ფუნქცია კი, ჩემი აზრით, ის არის, რომ ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნებში, საზოგადოებებში და მთავრობებში დათესონ შიში რუსეთისა და მისი სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმისადმი. ვფიქრობ, ეს კანონი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობებისა და საზოგადოებებისათვის კონსოლიდაციისა და ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერების კატალიზატორად უნდა იქცეს შესაძლო ფართომასშტაბიანი რუსული აგრესიისგან თავდასაცავად.

**— რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ ამ კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას სეპარატისტი ლიდერის სერგეი ბაღაფშის ბრძანება უძღოდა წინ, რომელიც „ქართული გემების ჩაძირვას“ ითვალისწინებს. როგორ შეაფასებთ ბაღაფშის მუქარას და რამდენად საშიშია შეტაკება საზღვაო აკვატორიაში?**

— ეს არის რუსეთის მსახური კრიმინალური რეჟიმის კიდევ ერთი დანაშაულებრივი გამოხტომა. ექსტრემისტების ეს დანაშაულებრივი დაჯგუფება რუსეთის ხელისუფლების დავალებისა და ნებართვის გარეშე დასაძინებლადაც კი არ მიდის. ბაღაფში უსუსური სატრაპია, რომელიც თავად არანაირ ბრძანებებს არ გასცემს. გარდა ამისა, თავად ბაღაფშს არათუ გემების, მდინარის პატარა სათევზაო ნავის ჩაძირვაც არ ძალუძს. ასე, რომ, ეს არა ბაღაფში, არამედ რუსეთი გვემუქრება. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ვფიქრობ, რომ საზღვაო აკვატორიაში შეტაკება სავსებით რეალურია, თუკი ჩვენ, როგორც სახელმწიფო გადავწყვეტთ, ჩვენი ტერიტორიული წყლები ნებისმიერ ფასად დავიცვათ. ხოლო თუ ჩვენ გადავწყვეტთ, დავთმოთ, უკან დავიხიოთ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ზოლის გაკონტროლებაზე ხელი ავიღოთ, მაშინ, ვფიქრობ, ამ ეტაპზე შეტაკების საშიშროება ნაკლებად არსებობს.



**— რამდენად შესაძლებელია, ევროკავშირმა ზღვაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავის თავზე აიღოს, თუ ქართულმა მხარემ საქართველოში მოქმედი ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის საქმიანობის ზღვაზე გავრცელების საკითხი დააყენა?**

— მე პირადად ამგვარ შესაძლებლობას ამ ეტაპზე ვერ ვხედავ. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა ზღვაზეც რომ გავრცელდეს, ეს მისია ხომ მხოლოდ სადამკვირვებლოა და კონფლიქტის აღმკვეთი სამხედრო ძალა არ გააჩნია! როგორც უკვე არაერთხელ ვნახეთ, ამ მისიას ხშირად იმის დადგენაც კი უჭირს, ვინ ისროლა და საიდან ცხინვალის ოკუპირებულ ზონაში. ასე რომ, მის მიერ საკმაოდ ვრცელი საზღვაო აკვატორიის გაკონტროლებაზე საუბარიც ზედმეტია, თუნდაც ეს მისია რაოდენობრივად გაიზარდოს.

**— მაშინ რა შეიძლება, მოიმოქმედოს დასავლეთმა იმისათვის, რომ აღნიშნული საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული?**

— დასავლეთი საქართველოს მოკავშირეა, მოკავშირეობის პოლიტიკის რკინის ლოგიკით კი, მაშინ, როდესაც ძლიერი მტაცებელი სახელმწიფო (როგორიც ამ შემთხვევაში რუსეთიაძ პატარა, მასზე ბევრად სუსტ ქვეყანას ემუქრება (როგორიც ამ შემთხვევაში საქართველოაძ, მოკავშირის საერთაშორისო ვალია, მის მეგობარ ქვეყანას დაეხმაროს. ამ შემთხვევაში სრულიად ლოგიკური იქნებოდა, ჩვენი მოკავშირეები დაგვხმარებოდნენ და მათ სამხედრო გემებს ჩვენს ფლოტთან ერთად დაეცვათ ჩვენი საზღვაო აკვატორია. თუმცა ჩვენთვის ნათელია და სამწუხარო, რომ დასავლეთში ამ აზრისგან ყველა შორს დგას.

ყველაზე მცირე, რაც დასავლეთმა უნდა გააკეთოს, რუსეთზე დიპლომატიური ზეწოლაა. რამდენად გაჭრის ეს კრემლზე, — მეორე საკითხია. საერთოდ, დასავლეთს ბევრი რამ შეუძლია, პრობლემა კი ის არის, რამდენის გაკეთება სურს მას ჩვენი პატარა და დაჩაგრული ქვეყნის გულისთვის რუსეთის პირისპირ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უცხო ქვეყნის გემები საქართველოს საზღვაო საზღვრებს არღვევენ და არა დასავლეთის რომელიმე სახელმწიფოსი, ასე, რომ, ეს ჩვენი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემაა, რომელსაც უპირველესად ისევ ჩვენ უნდა მივხედოთ. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ დასავლეთის ერები და ქვეყნები ყოველთვის იმ ერებს უფრო ეხმარებიან, რომლებიც საკუთარი გადარჩენისათვის გმირულ ბრძოლას არ უშინდებიან, — ახალი ევროპული ისტორია სავსეა ამგვარი მაგალითებით.

**— სომხურ, თურქულ და რუსულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სომხეთმა ტრანზიტული სახელმწიფოს რანგში შესაძლოა, „ნაბუქოს“ პროექტში საქართველო ჩაანაცვლოს. ამის მოტივად საქართველოში მუდმივი პოლიტიკური არასტაბილურობა სახელდება. თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია, საქართველომ ტრანზიტის ფუნქცია მართლაც დაკარგოს?**

— რუსეთის „პროგრამა მაქსიმუმია“, სრულად ჩაშალოს „ნაბუქოს“ პროექტი და ევროპის ენერგეტიკულ გზებზე სრული მონოპოლია დაამყაროს. მისი „პროგრამა მინიმუმი“ კი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ენერგოსადენი მის სატელიტ სომხეთზე მაინც გავიდეს და მან მასზე არაპირდაპირი კონტროლი მაინც განახორციელოს. თუმცა ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა მოხდეს ეს სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშე. საქართველოსთვის „ნაბუქოს“ მილსადენის ჩვენს ტერიტორიაზე გავლა ძალზედ მომგებიანია და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ეს ასეც მოხდეს. თუმცა მილსადენი ჩვენი გადარჩენის გარანტი და პანაცეა არ გახლავთ. არასერიოზულად მიმაჩნია ფიქრი იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული უშიშროების გარანტად რომელიმე მილსადენი გამოდგეს, რამდენ მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირსაც არ უნდა ატარებდეს იგი. მინდა, შეგახსენოთ, რომ საქართველოს უკვე აქვს ტრანზიტული ქვეყნის სტატუსი: ჩვენს სახელმწიფოზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უმნიშვნელოვანესი ნავთობსადენი. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია ბაქო-ერზერუმის (ე.წ. შაჰ-დენიზის) გაზსადენი, თუმცა განა შეუშალა ამან ხელი აფხაზეთისა და შიდა ქართლის რუსულ ოკუპაციას და საქართველოს სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათელვას?! სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას ძლიერი და თავდადებული არმია, მობილიზებული, მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ერი უზრუნველყოფს და არა მილსადენი.

**— შექმნილ ვითარებაში რას ურჩევდით საქართველოს ხელისუფლებას?**

— საქართველოს ტერიტორიული წყლების დაცვა საქართველოს სახელმწიფოს უფლება და ხელისუფლების კონსტიტუციური მოვალეობაა. საქართველოს მთავრობამ, პირველ რიგში, მჭიდროდ და აქტიურად უნდა იმუშაოს იმ ქვეყნების მთავრობებთან (მაგალითად, თურქეთის მთავრობასთანძ, რომელთა მოქალაქეები და გემები ყველაზე ხშირად არღვევენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ ქვეყნების მთავრობებს უნდა მოეთხოვოთ, რეგულარულად აღძრან სისხლის სამართლის საქმეები მათი იმ მოქალაქეების და ფირმების (მათთან რეგისტრირებული გემებისძ წინააღმდეგ, რომლებიც ქართული მხარის მიერ მხილებული იქნებიან ქართული ტერიტორიული წყლების საზღვრების დარღვევაში (რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში არ იგულისხმება, რადგან ამ შემთხვევაში იგი თავად არის აგრესორიძ. საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ფინანსური ჯარიმები და თავისუფლების აღკვეთის ვადები უცხო ქვეყნის იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს სასაზღვრო-საზღვაო ძალების მიერ იქნებიან დაპატიმრებული ქართული ტერიტორიული წყლების საზღვრების დარღვევის დროს. საქართველოს მთავრობამ უნდა შეიძინოს უფრო მეტი მცირე ზომის, სწრაფად მანევრირებადი სამხედრო კატარღა, რომელიც ეფექტური და სწრაფი ოპერაციების ჩატარების მეტ საშუალებას იძლევა. საქართველოს მთავრობის ინიციატივით, რეგულარულად უნდა ჩატარდეს ორმხრივი სამხედრო-საზღვაო წვრთნები შავი ზღვის რეგიონის მოკავშირე ქვეყნებთან: უკრაინასთან და რუმინეთთან. ეს ყველაფერი თანდათანობით მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი საზღვაო ძალების ეფექტურობას.

**ლევან ჟითანავა**



ინფორმაცია

## აუტოდაფე ოსურად

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, ცხინვალის ცენტრში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნები დაწვეს.**

**ამის შესახებ ოსი ჟურნალისტი თემურ ცხოვრებოვი საკუთარ ბლოკზე წერს.**

**„იმ დროს, როდესაც რუსეთში ცხინვალის ცენტრალური ბიბლიოთეკისთვის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სასწავლო დაწესებულებებისთვის წიგნების შეგროვების ჰუმანიტარული აქციები ტარდება, ქალაქში წიგნებს წვავენ“, — განაცხადა ცხოვრებოვმა.**

**მან ცეცხლიდან გოეთეს ლექსების კრებული, „X საუკუნის სასულიერო პოეზია“, „ფრანგული ლიტერატურის ისტორია“, ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსის სადრიდინ აინის წიგნი პირადად ამოიღო.**

**„წიგნების მესამედი ქართული იყო. მე ქართველებს ვებრძოდი და ვესროდი, მაგრამ წიგნები და ლიტერატურა რა შუაშია? დარწმუნებული ვარ, რომ განათლების და მეცნიერების მინისტრმა ანატოლი კურსაევმა ამ ბარბაროსული აქციის შესახებ იცოდა“, - განაცხადა ცხოვრებოვმა, რომელიც ყოფილი სამხედროა.**

**არსებობს ინფორმაცია, რომ წიგნების დაწვის აქცია ე.წ. სამხრეთ ოსეთის უნივერსიტეტის რექტორის თეიმურაზ კოკოითის ორგანიზებულია. ამ აქციის მიზანი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თაროების ახალი წიგნებისთვის გათავისუფლება იყო, რომლებიც რუსეთიდან უახლოეს დღეებში ჩამოვა.**

„ექსპრესნიუსი“

## რუსეთი ამერიკის ინტერესებს საფრთხეს უქმნის

**აშშ-ს ეროვნულმა დაზვერვამ რუსეთი იმ ქვეყნების ჩამონათვალში შეიყვანა, რომლებმაც შესაძლოა ამერიკის ინტერესებს საფრთხე შეუქმნას.**

**დაზვერვის მონაცემებით, მთავარ არამეგობარ ქვეყანათა ჩამონათვალში ირანი და ჩრდილოეთ კორეა მოხვდნენ.**

**აშშ-ს დაზვერვის შეფის დენის ბლერის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ირანი და ჩრდილოეთ კორეა თავიანთი ბირთვულ-სარაკეტო ამბიციებით აშშ-ის უსაფრთხოებას ემუქრებიან. განსაკუთრებული საფრთხე კი, დაზვერვის შეფის ინფორმაციით, ჩრდილოეთ კორეიდან მომდინარეობს, რადგან მისი მოქმედებების პროგნოზირება საკმაოდ ძნელია.**

**მოხსენებაში აღნიშნულია, რომ რუსეთი იმის მიუხედავად, რომ წარმოადგენს აშშ-ის პარტნიორს მრავალ მნიშვნელოვან ინიციატივასთან დაკავშირებით (ბირთვული ნარჩენების უტილიზაცია, ბრძოლა ბირთვულ ტერორიზმთან), მოსკოვს შეუძლია გააგრძელოს თავისი სიძლიერისა და გავლენის განმტკიცება, რამაც „შესაძლოა გაართულოს აშშ-ის ინტერესების რეალიზაცია...**

**ამავდროულად, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პოტენციური საფრთხე არ ნიშნავს, ამ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობების არსებობის შენარჩუნებასა და განვითარებაზე უარის თქმას.**

**მოხსენების მიხედვით, უახლოესი წლებისთვის ეროვნული დაზვერვის მთავარ ამოცანას ტერორიზმთან ბრძოლა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაუშვებლობა წარმოადგენს.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# საქართველო და გაერო: რეზოლუციების მარათონი



**— ანუ უშიშროების საბჭოში საქართველოს საკითხთან დაკავშირებით შეთანხმება იმთავითვე გამორიცხულია...**

— გამოსავალი ძალზე ძნელი წარმოსადგენია, მით უმეტეს, როცა პოზიციები ასეთი შეუთავსებელია. ვფიქრობ, 2009 წლის რუსეთის ვეტომ აფხაზეთში, კონფლიქტის ზონაში, გაეროს მისიის საქმიანობა საბოლოოდ დაასრულა.

ახლა გაეროში საქართველოს ძალისხმევა გენერალური ასამბლეის განსახილველად უნდა გადავიდეს, რისი სტრატეგიაც ჯერ კიდევ 2003 წელს მომზადდა „გუამის არეალში გაწელილი კონფლიქტების" რეზოლუციის პროექტის სახით, რომლის ჩართვა გაეროს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში 2006 წლის 13 სექტემბერს მოხერხდა. სწორედ ამ გადაწყვეტილებამ გახადა შესაძლებელი 2008 წლის 15 მაისს გენერალური ასამბლეის მიერ აფხაზეთიდან საქართველო, იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების სტატუსის შესახებ რეზოლუცია 62/249 მიღება. წელსაც, 9 სექტემბერს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთის დელეგაციის ინტენსიური წინააღმდეგობის მიუხედავად, რასაც თან დაერთო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 3 სექტემბრის განცხადება „კონტრპროდუქტიული" რეზოლუციის პროექტის შესახებ, ანალოგიური რეზოლუციის მიღება აშშ-სა და ევროპული კავშირის მხარდაჭერით მაინც მოხერხდა. საკითხის მომზადებისა და მხარდაჭერის დონეზე (ასეთი საკითხები გენერალურ ასამბლეაზე რთული გასატანია, რადგან დარბაზში შექმნილ ვითარებაზე ძალზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს და გარემოებები ხშირად იცვლება) ის ფაქტი მეტყველებს, რომ გაეროში რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა ვერ გამოიყენა ეფექტიანი პროცედურული იარაღი — „წინადადება ქმედების არმიცემის შესახებ", რომელსაც გაეროში საკმაოდ ხშირად მიმართავენ არასასურველი რეზოლუციის პროექტების ბლოკირებისათვის. მისი „წინადადება ქმედების არმიცემის შესახებ" (No action motion) კენჭისყრაზე ჩავარდა.

ახალი რეზოლუცია, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ პირველია, მითითებას აკეთებს უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციებზე აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით, რითაც აგრძელებს და ავითარებს უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით ფორმირებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ბაზას. თუ არ ჩავთვლით ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრების უფლებას, ეთნიკურ წმენდას და დაბრუნების გრაფიკს, რომლებიც წინა 62/249 რეზოლუციაში დაფიქსირდა, იგი მოიცავს ზემოაღნიშნული ბაზისთვის დამახასიათებელ სტანდარტულ ელემენტებს — ძალით დემოგრაფიული მდგომარეობის ცვლილების მიუღებლობას, ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მათი შთამომავლების დაბრუნების უფლებას. ყველა ეს ელემენტები ღირებულია, განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, მაგრამ ჩემი აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ გაეროს ერთ-ერთი ძირითადი ორგანოს — გენერალური ასამბლეის წვდომის არე უკვე მოიცავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონსაც, როდესაც უშიშროების საბჭოს ადრეული მანდატი მხოლოდ აფხაზეთზე ვრცელდებოდა. ამასთანავე აღნიშნული და მისი წინარე რეზოლუცია ქმნის გაეროს გენერალური ასამბლეის ეგიდით საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ჟენევის პროცესის გაძლიერების კონტექსტში სამშვიდობო პროცესის ახალი ფორმატისა და მექანიზმების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. სტრატეგია უნდა გულისხმობდეს პროცესის მაქსიმალურად გამოყენებას და მასში თანამიმდევრულად ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების გარდა სხვა, მაგალითად, სამშვიდობო ოპერაციის საკითხების ინტეგრაციას.

ამ მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულ პირობებში, ანუ როდესაც უშიშროების საბჭოს არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, გაეროს გენერალურ ასამბლეას აქვს 1950 წლის 3 ნოემბრის 377 (V) ცნობილი რეზოლუციის - „ერთიანობა მშვიდობისათვის" - შესაბამისი სამშვიდობო ოპერაციის საკითხების განხილვისა და რეკომენდაციის მიღების კომპეტენცია. რა თქმა უნდა, ეს რეზოლუცია ცივი ომის პროდუქტია, მაგრამ პრეცედენტების გამოყენება ყოველთვის შეიძლება. მრავალმხრივ დიპლომატიაში, განსაკუთრებით მცირე სახელმწიფოებისათვის, კვალიფიციური, ორიგინალური და არაორდინალური გადაწყვეტილებები და შემოქმედებითი მიდგომა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორაც პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა.

**— აგვისტოს ტრაგიკულ დღეებში ერთმა რუსმა გენერალმა ირონიით, მაგრამ მაინც განაცხადა: „ჰო, სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილიაო". გამოდის, რომ ჩურკინი ამას ფორმალურად ეწინააღმდეგება.**

— რუსეთის პოზიცია აშკარად წინააღმდეგობრივია. იგი აცხადებს, რომ ცნობს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, მაგრამ, როგორც ლავროვმა განაცხადა, მას მერე რაც საქართველომ ჩაიდინა, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. რატომ შემოიტანა რუსეთმა „ქართველების მიერ ოსების გენოციდის" მომენტი? იმიტომ, რომ რუსეთი მაქსიმალურად ცდილობს აგვისტოს ომი კოსოვოს სიტუაციას დაამსგავსოს. ნატოს კოსოვოში განხორციელებულ მოქმედებებს ბევრი სპეციალისტი, მათ შორის ამერიკელიც, ისე აფასებს, როგორც არამართლზომიერ, მაგრამ ლეგიტიმურ ნაბიჯს, რომელიც გამართლებული იყო, რადგანაც ეთნიკურ ჯგუფს გენოციდი ემუქრებოდა. მაგრამ თუ კოსოვო საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევაა (როგორც ეს რუსეთის პოზიციაა), მაშინ ნებისმიერი ანალოგიით რუსეთის ქმედებაც სხვანაირად ვერ შეფასდება.

**— არა მგონია გაეროს ქარტიის მუხლების შეუსრულებლობა მარტო საქართველოს შემთხვევაში გამოვლენილიყო...**

— აღნიშნული საკითხი ზოგადად ასახავს კრიზისულ ვითარებას, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში შეიქმნა. შეიძლება ითქვას, რომ კოსოვოს, ერაყისა და საქართველოს მოვლენებმა ძალის ცალმხრივი, „არაინსტიტუციონალური" (გაეროს ქარტიის თვალსაზრისით — პრობლემური) გამოყენება ტენდენციად გამოკვეთა. აქცენტს შეგნებულად ვაკეთებ არა მართლზომიერებისა და ლეგიტიმურობის საკითხებზე, არამედ ამ მოვლენების საერთო ფორმალურ მახასიათებელზე. ფაქტია, რომ საერთაშორისო სისტემა უფრო ფრაგმენტული გახდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი გარკვეულწილად ტრანსფორმაციის ეტაპზეა, რომელიც საერთაშორისო, უნივერსალური და თავდაცვითი ორგანიზაციების (გაერო, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი) როლის შედარებით შესუსტებაში გამოიხატება. აქედან გამომდინარე, გასაგებია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მისწრაფებაც, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობასთან ერთად განამტკიცონ ორმხრივი ურთიერთობები აშშ-სთან და შეიქმნან უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები.

**— რუსეთმა სხვისი ტერიტორიების მიტაცება ქარტიის რომელიმე მუხლის შესაბამისად ხომ არ განახორციელა?**

— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა იმის შესახებ, რომ მათ გამოიყენეს გაეროს ქარტიის 51-ე მუხლი, რომელიც თავდაცვის უფლებას გულისხმობს. ეს იურიდიული ნონსენსია, როცა სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში რუსეთი ტერმინ „აგრესიას" იყენებს. ეს ტერმინი მხოლოდ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გამოიყენება, ანუ როცა ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოს თავს ესხმის. ნიშანდობლივია, რომ, რუსეთის ფედერაციის მოთხოვნით, 2008 წლის 8 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება არ მიუღია რუსეთის იმ წინადადების თაობაზე, რომელიც საქართველოს, როგორც „აგრესორის" დაგმობას გულისხმობდა. როგორც მინიმუმ, ეს ნიშნავს იმას, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ, როგორც ინსტიტუტმა, არ გაიზიარა მოვლენების რუსეთის ფედერაციის მიერ შემოთავაზებული კვალიფიკაცია. ვფიქრობ, ეს ფაქტი უფრო ინტენსიურად უნდა გამოვიყენოთ აგვისტოს მოვლენების საერთაშორისო, სამართლებრივ და პოლიტიკურ დისკურსში. რა თქმა უნდა, საკუთარ ტერიტორიაზე ძალის გამოყენებასაც აქვს მკაცრი სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური ჩარჩოები, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს საქართველო-რუსეთის საზღვარი არ გადაუკვეთავთ. ამ ვითარებაში გარდა პროპაგანდისტულისა, არავითარი სამართლებრივი თუ პოლიტიკური საფუძველი ამ ტერმინის გამოყენებისთვის არ არსებობს. საერთაშორისო სამართალში კიდევ უფრო პრობლემურია საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით შეიარაღებული ძალებით უცხო ქვეყნის ტერიტორიზე შეჭრა. ამდენად ქარტიაში შეუძლებელია მოიძებნოს ისეთი მუხლი, რომელიც საქართველოს ამ ორი რეგიონის ოკუპაციას გაამართლებდა.

**— ამბობენ, საუბარი კომპრომისულ რეზოლუციაზეც იყოო ...**

— თუნდაც ყოფილიყო კომპრომისული რეზოლუციის მიღების შანსი, რა იქნებოდა ამ კომპრომისის არსი? შექმნილ ვითარებაში დიპლომატიური მანევრირების არე თითქმის არ დარჩა. კომპრომისის ზღვარია აფხაზეთის საკითხზე უშიშროების საბჭოს ბოლო 1866 (2009) რეზოლუცია, რომელიც შემდეგში რუსეთისთვისაც მიუღებელი გახდა. პერსპექტივა თითქმის არ არსებობს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე ევროპა და აშშ კომპრომისზე არ წავლენ, რუსეთი კი არ აპირებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღებას.

**— უშიშროების საბჭოსგან თუ არა, გაეროს სასამართლოსგან/ტრიბუნალისგან საქართველოსთვის მისაღები განჩინების მიღება შესაძლებელია?**

— რაც შეეხება გაეროს საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს, იგი იმ შემთხვევაში იღებს საქმეს განსახილველად, როდესაც ორივე — მომჩივანი და მოპასუხე სახელმწიფო მოცემულ საქმეზე სასამართლოს იურისდიქციას აღიარებს. ამიტომ საქართველო მართებულად მოიქცა, როდესაც საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებებით რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის ვალდებულებების დარღვევას ეფუძნება. საქართველოც და რუსეთის ფედერაციაც ამ კონვენციის მხარეებია, თანაც იგი საერთაშორისო მხარეებს შორის დავის გადასაჭრელად სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურას ითვალისწინებს. ეს იურიდიულად რთული და პოლიტიკურად მგრძნობიარე საქმეა, რომელიც, ალბათ, კარგა ხანს გაგრძელდება. ვეთანხმები მოსაზრებას, რომ საქართველოს მიერ საქმის მოგება საერთაშორისო სასამართლოს, როგორც საერთაშორისო ინსტიტუტის, ნდობის კრიზისს კიდევ უფრო გაარღმავებს, ისევე როგორც ეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროპულ კავშირს აგვისტოს ომის შემდეგ მოუვიდათ. საქმე ის არის, რომ რუსეთი არ შეასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამ უკანასკნელს მასზე ზემოქმედების არავითარი საშუალება არ ექნება. შესაძლებელია საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლომ გაეროს უშიშროების საბჭოს მისი გადაწყვეტილების რეალიზაციის მიზნით მიმართოს, როგორც ეს 1994 წელს მოხდა, როდესაც უშიშროების საბჭომ გაეროს მისია ჩადი/ლიბიის სადავო აოუზუს ტერიტორიაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების ხელშესაწყობად გააგზავნა. ჩვენს შემთხვევაში ძნელი გამოსაცნობი არაა, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს უშიშროების საბჭო.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს გამოყენებაც სათუოა, იმდენად, რამდენადაც რუსეთი არ არის საერთაშორისო სისხლის სასამართლოს სტატუტის მხარე. იმავე გარემოებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ რუსეთი თვითონ აპირებდა საერთაშორისო სისხლის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას, რაც არ გაუკეთებია.

**— გაეროს რეფორმირების საკითხი დიდი ხანია ყბადაღებულ თემად გადაიქცა. აპირებს კი იგი თავისი თავის რეფორმირებას, თუ ყველა ეს დებატი დროის უაზრო გაყვანაა? მის წესდებაში ან სადმე მაინც თუ არის ჩადებული გაეროს „გაპროგრესირების" მუხლი, რომელიც მას შანსს მისცემს ნამდვილ „ერების გამაერთიანებლად" გადაიქცეს?**

— 1999 -დან 2003 წლამდე გაეროში ვმუშაობდი. 2000 -ში კი გაეროს ქარტიის სპეციალური კომისიის ვიცე-პრეზიდენტიც გახლდით, მაგრამ მერწმუნეთ, რომ მას მერე გაეროს რეფორმების ტემპი სულაც არ შეცვლილა. რაც შეეხება უშიშროების საბჭოს ცვლილებებს. უამრავი რაოდენობის წინადადებები შედიოდა და განიხილებოდა, მათ შორის ამ საბჭოში ახალი წევრი-ქვეყნების დამატებით, რათა ყველა გეოპოლიტიკური ძალა იყოს წარმოდგენილი და არა მხოლოდ ხუთი მუდმივი და 10 არამუდმივი წევრი. იყო წინადადები ვეტოს უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით. მიუხედავად გაეროს არასრულყოფილებისა და ნაკლოვანებებისა (სხვა ორგანიზაცია ასეთი ფუნქციებით არ არსებობს) ორგანიზაციის გავლენიანი წევრების უმრავლესობას, ასეთი სტატუს-კვო, როგორც ჩანს, აწყობთ. აღსანიშნავია, რომ განვითარებადი სახელმწიფოების ჯგუფიც, რომელიც ყველაზე ინტენსიურად აკრიტიკებს ორგანიზაციის საქმიანობას, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტობრივად, თავადვე გამოდის გაეროს ინსტიტუციონალური გაძლიერების წინააღმდეგ, რადგან მიაჩნია, რომ ეს ცვლილებები სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შელახვის ან შესუსტების ხარჯზე მოხდება.

შექმნილი ვითარების დასახასიათებლად ნიშანდობლივია სამეურვეო საბჭოს მაგალითი, რომელიც გაეროს ქარტიით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი ორგანოა. მან 1994 წელს პალაუს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ამოწურა მანდატი და მუშაობაც შეაჩერა, რაც სამეურვეო ტერიტორიების თვითმმართველობისათვის ან დამოუკიდებლობისათვის მომზადებასა და ამ მიზნით მათ დროებით ადმინისტრირებას ითვალისწინებდა. მაგრამ სახელმწიფოებს არ სურთ დაუშვან გაეროს ქარტიის გადასინჯვის, ცვლილების პრეცედენტი, ამიტომ ეს ორგანო „არსებობას" მაინც განაგრძობს. გაეროში რეალური ცვლილებების დრო კარგა ხანია დადგა, მაგრამ საკითხავია, არიან თუ არა მზად ამისთვის გაეროს წევრი ქვეყნები?

**ია მერკვილაძე,**
**„სრ" საკ.კორ. ნიუ-იორკი, აშშ.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 184.**

გლობუსი

# „უდიდესი წარმატება“

გასულ კვირას საქართველოს ტელეეთერიდან გამუდმებით ისმოდა გაეროსა და ევროსაბჭოში ქართული დიპლომატიის გამარჯვებაზე, რაც უბრალო გულუბრყვილობას არ მიეწერება. ის უფრო იმ გეგმაზომიერი ქმედების ნაწილია, რომლის მიზანი საზოგადოების ზომბირებაა. სიტყვა „გულუბრყვილობა“ იმიტომ ვახსენე, რომ სწორედ ასეთს, წარმატებად შეიძლება მოჩვენებოდა გაეროსა და ევროსაბჭოს განხილვების შედეგები. თუმცა, არც ისეთი გულუბრყვილონი არიან ჩვენი ხელისუფალნი, რომ მარტივი პროცედურა, საკითხის გადაწყვეტის სერიოზულ ნაბიჯად ჩათვალონ. **ხელისუფალთა მთავარი მიზანი საკუთარ თავდადებულ შრომაში საზოგადოების დარწმუნებაა. ხელისუფლება იბრძვის, ძალას არ ზოგავს ახალ-ახალი გამოგონებისთვის, ისეთის, რასაც გასულ კვირას ჰქონდა ადგილი — სხვადასხვა ქალაქების ქუჩებში სამინისტროთა წლიური ანგარიშის სახით. არანაკლები ენერგია იხარჯება პრეზიდენტის კათედრის აქეთ-იქეთ ტარებაში, თვით პრეზიდენტის „ღრმაშინაარსიან“ სიტყვებში, ქალაქის მერის ყოველ გაჩიჩქნილ ორმოსთან საპროგრამო გამოსვლებში და ვინ მოთვლის კიდევ რაში.** ხელისუფლება „მუშაობს“, „მუყაითად, დაუზარელად, თუმცა უშედეგოდ. ეს ის შრომაა, ნაყოფი რომ არ მოაქვს. ეს შრომა ბზიკისას ჰგავს, ვიდრე ფუტკრის. ბზიკი მწარედ იკბინება მხოლოდ. ფუტკარი ხანდახან, როცა აწუხებენ, მაგრამ თაფლს იძლევა, სასარგებლოს, ადამიანის ჯანმრთელობისთვის. **ქართველ პოლიტიკოსთა „შრომა“ რამდენად მავნებელია ადამიანთა ჯანმრთელობისთვის, მეცნიერთა სერიოზული კვლევის საგანი იქნება, მაგრამ პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებული შეტევის მთავარი იარაღი, ტელევიზია, რომ ერთობ უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების განწყობაზე, მტკიცება არ სჭირდება. ზომბირებული მოსახლეობა, ხელისუფალთა „შრომის“ მიმართ ისეთ კმაყოფილებას გამოხატავს, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი — მადლობელი ვართ მთავრობის, ქალაქის მერის, პრეზიდენტის, რასაც დაგვპირდნენ გვისრულებენ, ისმის ტელეეკრანებიდან.**

კმაყოფილი ხალხი, კმაყოფილი ხელისუფლება. სრული იდილია მხოლოდ ტელეეკრანებიდან. ცხოვრება კი თავისი დინებით მიედინება, ისე, როგორც მტკვარი, მრავალი საუკუნის განმავლობაში. მის ნაპირებთან ბევრს უცხოვრია ბოზოქარი თუ მშვიდი, გმირული თუ ლაჩრული ცხოვრებით. იყო ტყუილიც, გაუტანლობაც, სიყვარულიც და თავდადებაც. ბევრი რამ იყო. ის დღევანდელთა უზნეობით არ გაოცდება. ყოფნა-არყოფნის პირას მყოფ ქართველებს, ისე, როგორც მაშინ, იგივე პრობლემა აწუხებთ, ოღონდ სიტყვით, რომელსაც გულთან კავშირი გაწყვეტილი აქვს. ყოფნა-არყოფნის უფსკრულთან მყოფ ქართველობას ძველი პრობლემა აღელვებს. აღელვებს? კითხვა უადგილოდ არ დასმულა. კითხვა საზოგადოების წიაღში გაჩენილმა მოსაზრებამ წარმოშვა. მაინც რა მოსაზრება წარმოიშვა საზოგადოების ერთ ნაწილში, რომელმაც მეორეში „აღელვება“ გააჩინა? გასული წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად რუსეთის მიერ საქართველოს ყოფილი ავტონომიების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას საზოგადოების ერთ ნაწილში, მათ შორის ახალგაზრდებში, შემდეგი გამონათქვამი მოჰყვა — მაინც დაკარგული იყოო. ნიჰილიზმი არა მარტო ამ საზოგადოების, არამედ იმ საზოგადოების თანმდევი იყო. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში პარტიის ცკ-ს აპარატის ზოგიერთ მუშაკთან შეკითხვა, რატომ მეტი ყურადღება არ ექცევა ჯავახეთს, პასუხი — მაინც დაკარგულიაო, იყო. საბედნიეროდ, მსგავსი მოსაზრება უმრავლესობის მიერ უარყოფითად აღიქმება, მაგრამ უმრავლესთა მრწამსი, ქვეყანაში მცხოვრებ სხვებთან ურთიერთობაში, ქალისმიერებაზე გადიოდა და გადის. ქალისმიერებაზე და არა გონიერებაზე.

ადამიანთა, ისე როგორც სახელმწიფოთა შორის კავშირურთიერთობაზე გარკვეულ დაღს ასვამს უმადურობა, შეუფასებლობა, დაუნახაობა. როდესაც ქვეყნის პირველი პირი, ქვეყნის დაუძინებელი მტრების სიაში იმ ქვეყანასაც შეიყვანს, ვისაც ფიზიკური გადარჩენისთვის მისმა წინაპრებმა მიმართეს, კუბში აყვანილი დაუნახაობაა. დაუნახაობაა ისიც, როდესაც მრავალი საუკუნის შემდეგ აღდგენილ სახელმწიფოებრიობას, თუნდაც წითელი კავშირის ფარგლებში, არარაობად მიიჩნევ, ისევე, როგორც ამ პერიოდში ეროვნული განათლების, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის ჩამოყალიბება-გაფურჩქვნას. უმადურობა და შეუფასებლობაა ისიც, როდესაც ყოფილი მხსნელისგან ბოძებულ დამოუკიდებლობას სამასხარაოდ აიგდებ. უმადურობაა უგულებელყოფა იმისა, რომ მძიმე ისტორიული ჭირ-ვარამის შედეგად ქვეყნის დანაწევრებას, სწორედ მისი ხელშეწყობით დაესვა წერტილი. „მაგარმა“ ერმა ის მოვახერხეთ შეკოწიწებული ისევ გაგვეფანტა.

**სიტყვა „ჩვენ მაგრები“ ვართ დღევანდელ გაგებაში უფრო ფიზიკურ სიძლიერეს გულისხმობს, ვიდრე გონიერს, არადა აშკარად ჯობდა გონებრივი სიმაგრე. 21-ე საუკუნე გონებრივად ძლიერთა საუკუნეა. საქართველოს ხელისუფალთა მიერ განსაზღვრულ მომავალში აქცენტი ფიზიკურზე და არა გონიერებაზე კეთდება. არა განათლება, არა მეცნიერება, არამედ ფიზიკური შრომა-დამლაგებლობა, ოფიციანტობა, ბარმენობა, მძღოლობა, ჩამოსულთა ორგანიზმის დამგრილებლობა, სხვათათვის საჭირო გაზისა და ნავთობის მილსადენების დამცველობა და სხვა. საქართველო ტურიზმის სამოთხედ იქცევა, სხვათა მომსახურების და ფეხის გულების მომფხან სავანედ. მაგრამ ერთია — ტურიზმი ვერაფრით განვითარდება ინფრასტრუქტურის გარეშე. ამის მაგალითები უხვადაა მსოფლიოში. ტურისტულ ქვეყნებში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება განვითარებული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, კულტურა, მეცნიერება.**



უსწავლელობის ბრალია ის, რაც დღეს სჭირს ქვეყანას. უგუნურების ბრალია და არა ფიზიკური უძლურების, საკუთარი ტერიტორიების „უპრაგონოდ“ მიმოფანტვა. სამწუხაროდ, პროცესი ჯერაც არ დასრულებულა. არავინ იცის უგნურთა ქმედება რას გადაყრის საქართველოს, თუმცა არა, საგარეო უწყების შეფის მტკიცებით სულ მალე სამართალი იზეიმებს და საქართველოს დაუბრუნებენ წართმეულ ტერიტორიებს. ხალხის დაიმედება საშური საქმეა, მით უმეტეს საგარეო საქმეთა მინისტრის მხრიდან, მაგრამ რა ვუყოთ ისტორიულ რეალობას, რომლის მიხედვით ჩამოჭრილი არავის დაუბრუნებია. 90 ათასი კვადრატული კილომეტრიდან ჯერ 68 ათასამდე შევკვეცეთ, ხოლო 2008 წლის აგვისტოდან, თითქმის 40 ათასამდე. მინისტრის ოპტიმიზმი გაეროში მომხდარითაც იყო განპირობებული, მაგრამ მთავარი მაინც სახელისუფლებო ოპტიმიზმია, ხალხის დაშოშმინებას და ზომბირებას რომ ემსახურება.

გაეროს დაფუძნებიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. ნახევარ საუკუნეზე მეტი მოქმედებს ამ უნიკალური ორგანიზაციის მთავარი დოკუმენტის ორი დედაბოძი — ერთია თვითგამორკვევა, მეორე, საზღვრების ურყეობა. ისინი სამაგალითოდ თანაარსებობდნენ გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე, მაგრამ შემდეგ ამ ურთიერთობას წყალი შეუდგა. დაიწყო ფარული თუ ღია პაექრობა, რომელშიც ერთა თვითგამორკვევამ იძალა. გაეროს წევრი 200-მდე სახელმწიფოს არსებობიდან გამომდინარე კარგად ჩანს, ვინ ვის აჯობა. ერთა თვითგამორკვევის ტრიუმფალური სვლა, როგორც ჩანს, მომავალშიც გაგრძელდება. გაეროს წევრთა რაოდენობა 200-ს გადააჭარბებს. საქართველოს დამოუკიდებლობა ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია, ისევე, როგორც დაქუცმაცება. ქვეყნის ხელისუფლება არაადეკვატური აღმოჩნდა საერთაშორისო სარბიელზე მიმდინარე პროცესების აღქმა-შეფასებაში. შიდა კინკლაობაში გართულ ხელისუფლებას არც არავითარი სურვილი გასჩენია ყურადღება მიექცია, შეესწავლა ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესები. კუთხურობით, უცოდინარობით იყო გამოწვეული ბათუმში საერთაშორისო კონფერენციის ჩაშლა თემაზე — ერთა თვითგამორკვევისა და საზღვრების ურყეობის საკითხები. მაშინდელმა ცენტრმა უარი სტკიცა ავტონომიის ხელმძღვანელობას, რითაც ჩაყოლას ჩათრევა (მოგვიანებით ამჯობინა. არადა კონფერენციაში მონაწილე უცხოელი მეცნიერები თვალს მაინც აუხელდნენ შევარდნაძის დაბრმავებულ ხელისუფლებას, თუ რა ტენდენციას ჰქონდა ადგილი იმჟამინდელ მსოფლიოში. მას შემდეგ არაერთი წელი გავიდა, მაგრამ ვითარება, საზღვრების ურყეობის თვალსაზრისით, არათუ განმტკიცდა, არამედ გაუარესდა, რაც საკუთარ თავზეც ვიწვნიეთ. ერის თვითგამორკვევისკენ ლტოლვა ვერც გაერომ შეაჩერა და ვერც მტკიცე საზღვრებმა. გაერომ მხოლოდ ის მოახერხა, რომ ახალ წევრებად ეკურთხებინა ახალშობილი ქვეყნები.

ისტორია, მით უმეტეს უახლესი, სწორედ ის ფუნდამენტია, რომელზეც აწმყო და მომავალი შენდება. საქართველოს უახლესი ისტორიისთვის თვალის გადავლება არ იქნებოდა ურიგო ხელისუფალთათვის, თუმცა ყოველი ახალი ხელისუფალი ქვეყნის ისტორიის დაწყებას საკუთარ მოსვლას უკავშირებს. ასეა გამსახურდიადან დაწყებული, სააკაშვილით დამთავრებული. ისტორიის უცოდინარობა ფართო გასაქანს აძლევს პოლიტიკურ შეუფასებლობას. საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობამ მიგვიყვანა იმ მძიმე ვითარებამდე, რასაც დღეს აქვს ადგილი. და აღარაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, უმნიშვნელო წარმატება გრანდიოზულად მოვნათლოთ.

გასული კვირის გაეროს გადაწყვეტილება სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება. მოჭარბებული ოპტიმიზმი იყო ვაშაძის განცხადებაში — გაეროს გადაწყვეტილებას სხვაც ბევრი მოჰყვება და ტერიტორიები დაგვიბრუნდებაო. პოლიტიკა ჩოგბურთი არ არის, სადაც ტურნირებში მოპოვებული წარმატების მიხედვით მსოფლიოს პირველი ჩოგანი სახელდება. პოლიტიკაში სხვა „თამაშთან“ გვაქვს საქმე, სადაც პირად სიმპათია-ანტიპათიას გარკვეული ყურადღება ენიჭება, სადაც დიდს, თუნდაც სიდიდიდან გამომდინარე მოკრძალებით ეპყრობიან, სადაც ჯერაც ძალაშია ძალისადმი, ცხადია სამხედრო, პატივისცემა და მორიდება. ის, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობას მეტმა დაუჭირა მხარი, ვიდრე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისას, სწორედ აშშ-ს სიძლიერეზე მეტყველებს და არა საკითხის სამართლიან გადაწყვეტაზე. რუსეთი მიიჩნევს, რომ თუ არსებობს დამოუკიდებელი კოსოვო, უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. აშშ და ევროპა დაზარალებულ სერბეთს ევროკავშირში შეყვანას ჰპირდება, სადაც მომავალში კოსოვოც იქნება — ერთ, ანუ ევროკავშირის ჭერქვეშ იქნებითო — ამშვიდებენ სერბეთს. საქართველოსაც რაღაც კავშირს, ანუ კავკასიურ სახლს ჰპირდებიან, სადაც ჩვენთან ერთად ყოფილი ავტონომიებიც იქნებიან, მაგრამ საქართველოს რა?! კავკასიური სახლით დაგვამშვიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაუდოღლუმ თბილისში ვიზიტის დროს. კავკასიურ სახლზე რუსეთიც ალაპარაკდა. ვერ გეტყვით, რა უთხრა თურქმა მინისტრმა სააკაშვილსა და მის გუნდს, მაგრამ ქართველთა მიერ შეპყრობილი და 24 წლით ციხემისჯილი გემის კაპიტანი, მეორე დღესვე გაათავისუფლეს. როცა შნო არ გაქვს, არ უნდა გაიქაჩო. სამწუხაროდ, ისე, როგორც წინათ, გონიერება გვღალატობს. **გაეროს გადაწყვეტილება რუსეთის ჯიბრით და აშშ-ს ხათრით იყო განპირობებული და არა საქართველოს სამართლიანობისთვის ბრძოლით. ცდება ყველა ის, ვინც ფიქრობს, რომ გაეროს გადაწყვეტილება ქართული დიპლომატიის წარმატებაა (ან რა წარმატებაზეა ლაპარაკი). რომ არა აშშ, ამაზეც არ იქნებოდა მსჯელობა. გაერო დიპლომატიური ვაჭრობის არენაა. კარგად ვაჭრობს ის, ვისაც აქვს სავაჭრო, ვისაც სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერე და გონიერება აქვს. საქართველოს ხელისუფლებას მსგავსი არაფერი გააჩნია, გარდა ავანტიურიზმისა, რაც მიუღებელია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

ვნახოთ

# სოსო ცისკარიშვილი: რომ არა ხელისუფლება, ოპოზიციის ახალ სპექტაკლზე ბილეთების გასაღება გაჭირდებოდა

(მეორე გვერდიდან) **— ოპოზიციის ნაწილი პოლიტიკურ აქტიურებას ტალიავინის მისიის დასკვნის შემდეგ ვარაუდობს. რამდენად შეიძლება აღმოჩნდეს ტალიავინის კომისიის დასკვნა ოპოზიციის გააქტიურების მიზეზი?**

— სამწუხაროდ, ჩემთვის ეს უფრო მიმანიშნებელია კიდევ ერთი ცნებისა — კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო. რა შუაშია ტალიავინის კომისიის დასკვნა? ნუთუ, საქართველოში მცხოვრები ადამიანები ნაკლებად გაცნობიერებულები არიან რეალობაში, ვიდრე ეს შეიძლება წარმოაჩინოს ტალიავინის დასკვნამ? არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ ეს ხომ უკვე პოლიტიკური გემოვნების საკითხია, ჭეშმარიტება ხომ ერთია. როგორც ყველაფერში, დღეს საქართველო ორად — ხალისიან და დარდიან საქართველოდ არის გაყოფილი. ვინც თვლის, რომ არ უნდა დაწყებულიყო ქართული მხრიდან ცხინვალზე შეტევა, ისინი დარდიანები არიან. ხალისიანნი თვლიან, რომ ეს იყო გარდუვალი აუცილებლობა და მხოლოდ რუსულ შემოტევაზე პასუხი. ორივე აზრის გულწრფელად დამჯერებელს მივესალმები, მაგრამ თუ ერთს ფიქრობ და მეორეს ლაპარაკობ, მაშინ საკუთარი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერი ხარ. ამიტომ, ტალიავინის დასკვნა შეიძლება, გაუხარდეს ან არ გაუხარდეს პუტინს. ჩვენ ამ დასკვნით ვერც გავიხარებთ და ვერც დავლონდებით, რადგან იმდენი გვაქვს დასაღონებელი და სატირალი, ტალიავინიმ სულ რომ ანგელოზის ფრთები გამოაბას ჩვენს ხელისუფლებას, მწარე რეალობას მაინც ვერ გავექცევით. ამიტომ ტალიავინის კომისიის დასკვნის მნიშვნელობის გაზვიადება საჭირო არ არის.

**— ლუსტრაციის კანონის მიღება აქტუალური თემა გახდა. კარგია, რომ მისი მიღების აუცილებლობაზე არავინ დავობს. 90-იან წლებში ბალტიის ქვეყნების წარმატების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ლუსტრაციის კანონის დროულად მიღება მიიჩნევა. თქვენი აზრით, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რა შეიძლება მოჰყვეს ლუსტრაციის კანონის მიღებას?**

— ნებისმიერ შემთხვევაში, როგორი ხინჯიც არ უნდა ქონდეს ლუსტრაციის კანონის ქართულ ვერსიას, ჩემი აზრით, მისი მიღება აუცილებელია. დახვეწა შემდგომშიც შეიძლება. ვშიშობ, რომ ამ კანონის მოქმედების პირველი ეტაპი, პირველ ყოვლისა, რომელიმე ოპოზიციური ფიგურების გამოსააშკარავებლად ან ცილისწამებისთვის იქნება გამოყენებული. მაგრამ, საიდუმლო სამსახურის საიდუმლო მუშაკების პარტიული საქმიანობით დაკავებულ მუშაკებთან გათანაბრება არასწორი იქნებოდა, ვინაიდან ბევრი მათგანი მართლა აღმშენებლობით იყო დაკავებული. ლუსტრაციის კანონის მიმართ საკმაოდ ზერელე მიდგომა თავად ქმნის პირობას იმისთვის, რომ ეს კანონი არ ამოქმედდეს. ძალიან ცუდი იქნება, თუ ასე მოხდა.

ჩემთვის არჩევით თანამდებობაზე სუკ-ის თანამშრომელთა მოხვედრაზე უფრო მეტად მიუღებელი საბჭოთა სუკ-ის თანამშრომლების აუდიტორიებში სტუდენტებთან ან სასკოლო კლასებში, მოსწავლეებთან ყოველდღიური შესვლა და საუბარია. მათ ახალგაზრდა თაობასთან ურთიერთობისა და საზოგადოების დამოძღვრის უფლება უნდა ჩამოერთვათ. საბჭოთა სუკ-ის თანამშრომლებს არ უნდა ქონდეთ საზოგადოების დამოძღვრის უფლება, ანუ მათ ტელე და რადიოეთერი ხელგაშლილი არ უნდა ხვდებოდეს.

მე მაინც ვελი, რომ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება ლუსტრაციის კანონის ასამუშავებლად. ამით პოლიტიკურ პროცესს სამომავლოდ პოზიტიური მუხტი შეემატება. ოღონდ, ცხადია, მთავარია იმ ადამიანების წესიერება, რომლებიც სათავეში უდგანან ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღებას. მათი წესიერება ლუსტრაციის კანონის ადეკვატური ამოქმედების გარანტი უნდა იყოს.

**კობა ბენდელიანი**

წიგნი

# ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში

***ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოვიდა ცნობილი მეცნიერების პროფ. ბონდო არველაძის და აწ განსვენებული პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის წიგნი — „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში“. ამ წიგნის ქართული რედაქცია გამოიცა 2007 წელს. ინგლისურ და რუსულ თარგმანთა გამოცემებში შეტანილია გარკვეული მასალა, რომელიც ასახავს 2007 წლის შემდგომ მოვლენებს. ეს პირველ რიგში ეხება რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობას. თუმცა ეს სეპარატისტული რეგიონები დღემდე არავის უღიარებია — რუსეთის, ნიკარაგუისა და ვენესუელის გარდა.***

პროფ. ბონდო არველაძის და პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის ამ წიგნში ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი მკითხველი გაეცნობა საარქივო მასალების საფუძველზე დასაბუთებულ მარშალ ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის სისხლიან ბატალიებს რუსეთის მიერ მოწყობილ აფხაზეთის პროვოკაციულ ომში (1992-1993 წწ.ძ და შემდგომ წლებში, აქ ბატალიონის მიერ მშვიდობიანი ქართველების წინააღმდეგ ჩატარებულ ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში. ამ სამარცხვინო საქციელის გამო სომხურ მხარეს ქართველებისთვის დღემდე არა თუ ბოდიში არ მოუხდია, არამედ პირიქით, აქეთ უყენებს პრეტენზიებს, რაც ყოველგვარ ეთიკურ, ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს სცილდება. თვით ბაგრამიანის ბატალიონის წევრების უმრავლესობა აფხაზეთში მცხოვრებ სომხებს შეადგენს, რომელთა წინაპრები — XIX ს-ის 80-90-იან წლებში თურქეთიდან წამოსული ხიზნები, აფხაზეთის ქართულმა მიწამ შეიფარა. წარმოუდგენელია უმადურობა ამაზე შორს წავიდეს.

წიგნის მეორე ნაწილში შეტანილია სხვადასხვა ავტორთა მიერ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, ნარკვევები, ინტერვიუები, ბაგრამიანის ბატალიონის მიერ მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის სადისტური წამებისა და დახვრეტების ამსახველი ფაქტების შესახებ. ეს ავტორები არიან — ალეკო ასლანიშვილი, ზურაბ თორია, ხათუნა პაიჭაძე, სერგო საჯაია და სხვ.

ზოგიერთი სომეხი ჟურნალისტი ამტკიცებდა, ბაგრამიანის ბატალიონი აფხაზებმა სომხებს იძულებით, იარაღის მუქარით შეაქმნევინესო. გაირკვა, რომ ეს ასე არ ყოფილა, აფხაზეთში მცხოვრებმა სომხებმა, რომელთაც „ჰემშინებს“ უწოდებენ, ეს შეიარაღებული „ფორმირება“ საკუთარი სურვილით, ნებაყოფილებით შეუქმნიათ, ამას ადასტურებს, წიგნში მოტანილი ამ ავადსახსენებელი ბატალიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ვინმე ლეონ მარქარიანის შესაბამისი სიტყვები: „სომხური შეიარაღებული ფორმირება ჩამოყალიბდა არა სომხეთში, არამედ სხვის სამშობლოში, იმ ქვეყანაში, რომელმაც შეიფარა სომხები. სომეხი ხალხისთვის მნიშვნელოვანი და საამაყოა ეს და აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომხები ჩვენ სამშობლოდ ვთვლით აფხაზეთს და ვამაყობთ ზემოთ მოტანილი მოვლენით — ბაგრამიანის სომხური ბატალიონის შექმნით. მინდა ვთქვა, ამ სამამულო ომის დროს სომეხ ხალხს კარგად ესმოდა საქმის არსი. **ყველაფერს ვაკეთებდით არა ჯოხის და შიშის ქვეშ, არამედ საქმისა და სამშობლოს სიყვარულით** (ხაზგასმა ჩვენია — **თ.ი.ძ.** სომეხ ხალხს ესმოდა, რომ მიზანი იყო ერთი — გაეთავისუფლებინათ აფხაზეთი ოკუპანტი ქართველი ერისაგან“.




არაქართულენოვანი მკითხველი განსაკუთრებული ინტერესით წაიკითხავს პროფ. ბონდო არველაძის მიერ 2006 წელს (პირველად გამოქვეყნდა გაზ. „ასავალ-დასავალში“ № 33ძ გაგზავნილ ღია წერილს სრულიად სომეხთა კათალიკოსის გარეგინ II-ისა და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანისადმი. იგი ლაპარაკობს რა ქართველი და სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვან კეთილმეზობლური ურთიერთობის დაცვა-განმტკიცებაზე, ადრესატებს შეახსენებს, რომ ჯერ კიდევ ვიდრე გვიან არ არის, საჭიროა მათ სომეხი ხალხის სახელით ბოდიში მოუხადონ ქართველ ერს ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულის გამო: „ვიდრე თქვენ, სრულიად სომეხთა კათალიკოსი და სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოფიციალურად არ მოუხდით ბოდიშს ქართველ ერს ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მიერ აფხაზეთში ჩატარებული მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის ეთნოწმენდისა და გენოციდის გამო, მანამდე ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობაზე ლაპარაკი ფარისევლობაა და მეტი არაფერი“. ამ მიმართვას სომხეთის მხარე დუმილით უპასუხებს დღემდე. დუმილი კი ბაგრამიანის ბატალიონის მიერ აფხაზეთში მშვიდობიანი ქართველების ხოცვა-ჟლეტის გამართლებაა, სამწუხაროდ.

ამ წიგნის ერთ-ერთი ძირითადი ღირსება ის არის, რომ მასში წარმოდგენილია აფხაზეთის ტრაგედიის მოწმეთა ჩვენებები, რომელთა თვალწინ ბაგრამიანის ბატალიონის ჯარისკაცები სადისტურად აწამებდნენ და ხვრეტდნენ მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ. ამ ჯოჯოხეთს შემთხვევით გადარჩენილ მოწმეთა ჩვენებები ჩაწერილი აქვს გენერალური პროკურატურის გამომძიებლებს. ეს საბრალდებო საქმეები ორას ტომამდე იქნება და მის არქივშია მოთავსებული. მოწმეთა ჩვენებები სამართლებრივად სანდოა და იურიდიული ძალა აქვს. მით უმეტეს ისინი ურთიერთშეჯერების ნიადაგზეა გადამოწმებული სამართლის მუშაკების მიერ. ამდენად, ამით ბონდო არველაძის და პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის წიგნი — „ბაგრამიანის სომხური ბატალიონი და ქართველთა ეთნოწმენდა აფხაზეთში“, ნებისმიერ საერთაშორისო სასამართლოზე შეიძლება წარვადგინოთ, როგორც იურიდიული დოკუმენტი და ნივთმტკიცება. ასე რომ, შემთხვევითობა და გადაჭარბება, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამგვარ შემთხვევაში, გამორიცხულია. ამ მხრივაც ეს წიგნი ფასდაუდებელია. ისიც აღსანიშნავია, რომ პროფ. ბონდო არველაძე და პროფ. თეიმურაზ მიბჩუანი პირველი მკვლევარები არიან, რომლებმაც ეს საარქივო მასალა მოიძიეს, კვლევის საგნად აქციეს და მოახდინეს მისი პუბლიკაცია.

ჩვენი აზრით, წიგნი და მისი ავტორები სავსებით იმსახურებენ წარდგენილი იყვნენ გიორგი შერვაშიძის პრემიაზე.

**თინა იველაშვილი,**
**პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**



გურამ გოგიაშვილი — 75

# მადლიანი ქართულის მეციხოვნე...



**დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო მწერალსა და ჟურნალისტს გურამ გოგიაშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბატონო გურამ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან 75 წლის ღვაწლმოსილ, მხცოვან შემოქმედს, რომლის მრავალწლოვანი, მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანი მოღვაწეობა პატივისცემისა და მოწიწების გრძნობით განაწყობს ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების წინსვლა და განვითარება.

თითქმის ექვსი ათეული წელია, რაც უაღრესად ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. 1954 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი ორგინალური ლექსები და სვანური ბალადები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — მხატვრული თარგმანები, ლექსები, მოთხრობები, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

თქვენ, უპირველეს ყოვლისა, ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი აღიარებული მეტრი ბრძანდებით, რომელმაც არაერთი ბრწყინვალე თარგმანით გაამდიდრეთ მშობლიური ლიტერატურა.

ანტონ ჩეხოვის „ხევში“, კონსტანტინე პაუსტოვის „კოლხიდა“, „ნახტომი სამხრეთისაკენ“, „ოქროს ვარდი“, ტომანოვების „სოკრატე“, მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვისკონა“ და „სხვა სხეული“, პაულო კოელიოს „მეხუთე მთა, „ალქიმიკოსი“, „მოგვის დღიური“ და „ბრიდა“, ნიკოლას გილიენის, ალექსანდრ ბლოკის, იან რაინისის, ბორის გურგულიას, გაფურ გულიამის ლექსები, ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, ეჟი ლეცის „დაუვარცხნელი აზრები“ — აი, იმ მწერალთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომელთა თარგმანებს თქვენი მადლიანი ხელი ატყვია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია დიდი ფრანგი მწერლის — ფრანსუა რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, რომლის ქართულად ამეტყველებასაც არაერთი წელი შეალიეთ. სწორედ თქვენი დიდი დამსახურებაა, რომ ეს უაღრესად ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის მქონე ნაწარმოები დამკვიდრდა ქართველი მკითხველის ცნობიერებაში და ქართული მწერლობის საგანძურის განუყოფელი ნაწილი გახდა.

თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წლების განმავლობაში წარმატებით იდგმებოდა ოსტროვსკის, შუკშინის, რაძინსკის, რუსტამბეკოვის, გელმანის თქვენ მიერ თარგმნილი პიესები.

თქვენი თარგმანების უმთავრეს ღირსებას დედნის მასალისადმი უაღრესად ფაქიზი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მისი სულის შეუმღვრელად შენარჩუნება წარმოადგენს. რაც შეეხება თქვენს ქართულს, თამამად შეიძლება ითქვა, რომ თქვენ ამ ურთულესი და უმშვენიერესი ფენომენის ყველა ნიუანსს უბადლოდ ფლობთ და ამ მხრივ დიდი ივანე მაჩაბლის ღირსეულ შთამომავალს წარმოადგენთ.

მკითხველი თავის დროზე ინტერესით შეხვდა თქვენს მოთხრობებსა და ლექსებს, მეტად საყურადღებო წერილები მიუძღვენით ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ანა ანტონოვსკაიას შემოქმედებას. თქვენი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც საქვეყნო პრობლემების ტკივილიანი განცდითაა დამუხტული, მუდამ ცხოველი ინტერესით სარგებლობს.

მრავალი წელია, რაც ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანის — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში მოღვაწეობთ და ამ საყოველთაო ქაოსისა და ნიველირების ხანაში ყველას ჭეშმარიტი პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების მაგალითს აძლევთ.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის და ღირსების ორდენებით აღინიშნა. მინიჭებული გაქვთ ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლის, საგურამოს და ჟურნალისტთა კავშირის პრემიები.

ბატონო გურამ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ქართული სიტყვის მესაიდუმლეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ქართული მწერლობისა და ჟურნალისტიკის, ქართველი ხალხის სამსახურში დიდხანს ყოფნას გისურვებთ.

საქართველოს
მწერალთა კავშირი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთში საქართველოს ეკლესიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადეს

**სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია გამოდის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობიდან, განაცხადა ამ ეპარქიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა ბესარიონ აფლიამ.**

აფხაზეთის ტელევიზიის ეთერში მან განაცხადა, რომ ეპარქიას შეეცვალა სახელი და ჰქვია აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია.

ბესარიონის სიტყვებით, გადაწყვეტილება მიიღეს სამშაბათს სოხუმის საკათედრო ტაძარში ეპარქიის ყველა მართლმომსახურის კრებაზე.

იმავე დღეს რუსეთმა ხელი მოაწერა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ხელშეკრულებას სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

„17 წლის წინათ საქართველომ მოაწყო არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური აგრესია აფხაზეთთან დაკავშირებით, არამედ სულიერიც. აფხაზეთი არაფრით არ შეიძლება იყოს საქართველოს განუყოფელი ნაწილი, და სოხუმ-აფხაზეთის ეპარქია, რომელიც შედიოდა საქართველოს კათოლიკოსატის შემადგენლობაში, წყვეტს თავის არსებობას“, — განაცხადა ბესარიონმა.

მისი სიტყვებით, აფხაზეთის სასულიერო სამსახურს გათვალისწინებული აქვს სთხოვოს მოსკოვის საპატრიარქოს, მხარი დაუჭიროს გადაწყვეტილებას ეპარქიის გამოყოფის შესახებ.



ადრე სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველმა აღნიშნა, რომ აფხაზეთის ეკლესია ცდილობს გახდეს თვითმმართველი მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში.

ერთი თვის წინათ, სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა ბესარიონ აფლიამ ინტერფაქსის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ იცის მოსკოვის პატრიარქატის პოზიცია აფხაზეთის ეპარქიის ბედთან დაკავშირებით: „საეკლესიო იურისდიქციის საკითხი უნდა გადაწყდეს დიალოგის დროს რუსეთის, საქართველოს და აფხაზეთის ეკლესიებს შორის“.

ამავე დროს ბესარიონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ამ პრობლემის გადასაჭრელად საქართველოს ეკლესიამ უნდა აწარმოოს მოლაპარაკება უწინარეს ყოვლისა ჩვენთან“.

რუსეთის საქართველოსთან ხუთდღიანი ომის დამთავრებისთანავე, რასაც მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, ამ ორი ქვეყნის პატრიარქებმა გაცვალეს გზავნილები, რომლებშიც გამოთქმულია სურვილი მტრობის შეწყვეტის შესახებ. მაშინვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას, არ აღიაროს ცხინვალისა და სოხუმის დამოუკიდებლობა.

თავის მხრივ, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარმა ალექსი მეორემ კატეგორიულად განაცხადა უარი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს ეკლესიის მრევლის რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მიერთების შესაძლებლობის შესახებ.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-ს დაზვერვამ რუსეთი შეიყვანა ახალ „ბოროტების ღერძში“ — იმ ქვეყნების სიაში, რომლებსაც შეუძლიათ საშიშროება შეუქმნან ქვეყნის ინტერესებს**

ეროვნული დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელის დენის ბლერის აზრით, რომელსაც ექვემდებარება ამერიკის ყველა 16 სპეციალური სამსახური, რუსეთი და ჩინეთი ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიან ქვეყნებს კიბერშეტევის შესაძლებლობის თვალსაზრისით. ამერიკის შეერთებული შტატების ძირითად პოტენციურ არამეგობრებს შორის არიან ირანი, ჩრდილოეთი კორეა და ჩინეთი.

* * *

**ყირგიზეთის ექსპრეზიდენტის ბიბლიოთეკა და ცალკე სახლი სახელმწიფოს გადასცეს**

სასამართლოს მოხელეებმა გახსნეს საბიბლიოთეკო კომპლექსის შენობა და შეადგინეს ქონების აღწერა, მათ შორის, აკაევის ოჯახის პირადი ნივთებიც. ყირგიზეთის პირველი პრეზიდენტის ადვოკატმა მომხდარს სარეიდო ხელში ჩაგდება უწოდა. თავად აკაევი მიიჩნევს, რომ ამ ფაქტის უკან დგას პირადად ყურმანბეკ ბაკიევი.

* * *



**იაპონიის პარლამენტმა აირჩია ახალი პრემიერ მინისტრი, რომლის ზედმეტი სახელია „უცხოპლანეტელი“**

იაპონიის მთავრობას სათავეში ჩაუდგა იუკიო ხატოიამა — დემოკრატიული პარტიის ლიდერი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ოპოზიციაში იმყოფებოდა. კაბინეტის შემადგენლობა უკვე განსაზღვრულია. ხატოიამა პირდება თავის ხალხს, რომ ნახევარ წელიწადში გადაწყვეტს კურილიის კუნძულების პრობლემას, მისი მეუღლე კი ირწმუნება, რომ არამიწიერ ქმნილებებთან ერთად მიფრინავდა ვენერაზე.

* * *

**აშშ-ს პოლიციას უბრძანეს ყურადღება მიაქციონ იმ პირებს, რომლებსაც შეუძლიათ ოჯახურ პირობებში შექმნან ასაფეთქებელი მოწყობილობა**

უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ასეთი გაფრთხილება გაუგზავნა ქვეყნის ყველა პოლიციურ ნაწილს ნიუ-იორკში ავღანელთა კვარტალების შემოწმების შემდეგ. ქვეყნის სამართალდამცავებმა თვალყური უნდა ადევნონ იმ პირებს, ვისაც აქვთ დამწვარი სახეები და ხელები, სახლებიდან გამომავალ სუნს, დიდი ოდენობის ვენტილატორებს და ა.შ.



## დავუპირისპირდებით რუსეთის მეკობრეობას

**რუსეთის განზრახვა დააკავონ საქართველოს გემები შავი ზღვის აკვატორიუმში, რომელიც ესაზღვრება აფხაზეთის სანაპიროს, თბილისში შეაფასეს, როგორც მოსკოვის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების პრინციპების დარღვევის გაგრძელება.**

როგორც კომენტარებშია ნათქვამი, „თავად რუსეთშიც კი ცუდად აქვთ წარმოდგენილი თუ რა უნდა დაიცვან რუსმა მესაზღვრეებმა, ვინაიდან გაეროს საზღვაო უფლებების კონცეფციის შესაბამისად 12 მილიანი სასაზღვრო ზონა აფხაზეთთან — საქართველოა ისევე, როგორც ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შერფი არიან საქართველოს საკუთრება“.



ეტყობა, მიაჩნიათ თბილისში, „რუსეთს განზრახული აქვს გადაწყვიტოს ეს სამართლებრივი კოლიზია მისთვის დამახასიათებელი ძალოვანი მეთოდებით“. „აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 15 სექტემბერს მოსკოვში რუსეთსა და ეგრეთ წოდებულ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკებს შორის დაიდო ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ეს ხელშეკრულებანი ითვალისწინებენ რუსეთის სამხედრო ბაზების განთავსებას საქართველოს ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სწორედ მათი დაცვისთვის არის გათვალისწინებული სასაზღვრო ჯარები და რუსეთის დაზვერვის უწყების სამხედრო გემები.

„საქართველოს მხარე კვლავ ადასტურებს, რომ განზრახული აქვს დაუპირისპირდეს რუსეთის მხრიდან მეკობრულ მოქმედებებს ყველა არსებული დიპლომატიური და პოლიტიკური მეთოდებით“, — ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

РОСБАЛТ

# რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური აფხაზეთის საზღვაო საზღვრის დამრღვევებს დააკავებს

**უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ვიქტორ ტრუფანოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთის საზღვაო საზღვრების დაცვის ფარგლებში უწყებამ მიიღო გადაწყვეტილება დააკავოს გემები, რომლებიც ამ საზღვარს დაარღვევენ.**

ტრუფანოვის სიტყვებით, ეს უზრუნველყოფს 2014 წლის ოლიმპიადის უშიშროებასაც. ადრე აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ ბრძოლა საზღვაო საზღვრების დამრღვევ გემებთან გაგრძელდება სრულიად დამოუკიდებლად, რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩაურთველად.

15 სექტემბერს უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო დაცვის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტრუფანოვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აფხაზეთის საზღვრის მოწყობა დამთავრდება 2009 წლის ნოემბერში. „დაცვის ქვეშ აყვანილია სახელმწიფო საზღვრის 350-ზე მეტი კილომეტრი, მათგან 215 საზღვაოა, 98 — სახმელეთო, 39 — სამდინარო“. აფხაზეთის საზღვრის უშიშროება ამჟამად უზრუნველყოფილია რუსეთის სასაზღვრო ორგანოების ქვედანაყოფების მიერ, რომელთა შემადგენლობაშია ათასზე მეტი კაცი. ეს ყველა ზომა მიღებულია 30 აპრილს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების შესახებ სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებით. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ რუსეთი დაეხმარება ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს საზღვრის დაცვაში საკუთარი ანალოგიური ორგანოს ჩამოყალიბებამდე.

ტრუფანოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთის საზღვაო საზღვრის ფარგლებში უშიშროების ფედერალური სამსახური დააკავებს გემებს, რომლებიც ამ საზღვრებს დაარღვევენ. ტრუფანოვის განცხადება ახალი ხვეული გახდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის კონფლიქტში. წლის დასაწყისიდან საქართველოს სანაპირო დაცვამ აფხაზეთის ეკვატორიაში დააკავა 23 გემი, მათ შორის 4 — „საქართველოს წესების დარღვევისთვის ოკუპირებული ტერიტორიის წყლებში შესვლის გამო“. მაგრამ საზოგადოებრიობის ყველაზე დიდი ყურადღება გამოიწვია ქალაქ გაგრის საქალაქო სასამართლოს უპრეცედენტო მკაცრმა გადაწყვეტილებამ. იგი იმყოფება დევნილობაში საქართველოს ქალაქ ქუთაისში. პირველ სექტემბერს მან თურქეთის გემის კაპიტანს თურქეთის მოქალაქეს მახმეტ ოსთურქს 24 წლის თავისუფლება აღკვეთა მიუსაჯა. კაპიტანს ბრალად დასდეს 2 ათასი ტონა ბენზინის კონტრაბანდის მცდელობაში. 8 სექტემბერს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის დროს ოსთურქი შეიწყალეს, პატიმრობა მას შეუცვალეს დიდი ჯარიმით.

აფხაზეთის ხელისუფლებამ თურქეთის გემის დაკავების შემდეგ მიმართა გაეროს მოთხოვნით, მოახდინოს რეაგირება შავ ზღვაში გემების დაკავებასთან დაკავშირებით. მან განაცხადა აგრეთვე, რომ მზად არიან დაიცვან მათკენ მიმავალი გემები საკუთარი ფლოტით. აგვისტოს ბოლოს სოხუმის ინიციატივას მხარი დაუჭირა მოსკოვმა: რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ევგენი ინჩინმა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციის უშიშროების ფედერალური სამსახურის სანაპირო დაცვა აფხაზეთის მესაზღვრეებთან ერთად უზრუნველყოფს გემების უშიშროებას, რომლებიც იმყოფებიან აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში, რაც გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის ერთობლივი შეთანხმებით საზღვრის დაცვის შესახებ. ამ განცხადების შემდეგ სოხუმმა განაცხადა, რომ დააკავებს საქართველოსკენ მიმავალ გემებს.

2 სექტემბერს აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გასცა ბრძანება თავისი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში საქართველოს გემების განადგურების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს ზომები გათვალისწინებულია მხოლოდ-აფხაზეთის ძალების მიერ. „ამ საკითხის გადასაწყვეტად არავითარი სამხედრო საზღვაო ძალები რუსეთისგან არ იქნებიან ჩართული“. ახლა კი, თურმე, „ქართულ გემებს ჩაძირავენ“ აფხაზეთის წყლებში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ძალები.

Коммерсантъ

**მწარე გაკვეთილი**

# საქართველოს გზა მიდის არა ნატოსკენ და კატოსკენ, არამედ ტაოსკენ!..

***გვესაუბრება საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი***



**— ბატონო ვაჟა, თბილისის მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივით, თქვენ იმყოფებოდით ტაო-კლარჯეთში და ქართული ძეგლები მოინახულეთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილება?**

— განუმეორებელია ის სამი დღე, რომელიც თბილისის მერიის ხელშეწყობით, შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლებმა ტაო-კლარჯეთში გავატარეთ. ეს იყო პროექტის „მუსიკაში აჟღერებული ლექსის“ შემადგენელი ნაწილი, სადაც ყველა შემოქმედებითი კავშირი მონაწილეობს. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი თბილისის მერიას და მის კულტურის სამსახურს, რომელიც ბოლო დროს აქტიურად თანამშრომლობს შემოქმედებით კავშირებთან — იქნება ეს მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, კომპოზიტორთა თუ ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა კავშირი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხელისუფლებისგან დამცირებისა და ზეწოლის გარდა არავითარი თანამშრომლობისა და კონსტრუქციული ურთიერთობის სურვილი არ ყოფილა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ბოლო დროს საქართველოს კულტურის სამინისტრომ მერიის კულტურის სამსახურში გადაინაცვლა. ეს დადებითი მოვლენაა.

რაც შეეხება თავად მოგზაურობას, მოვინახულეთ ჩვენი ისტორიული მიწა-წყალი, ქართული სულიერების პირველი აკვანი, „ხანძთა — სულიერად მშობელი ქართველთა“. ვნახეთ დოლისყანის, ხახულის, ოშკის, იშხანის, პარხალის, ოთხთას უნიკალური ეკლესია-მონასტრები. ეს იყო პირველი ხატწერის, პირველი ქართული წიგნების გადაწერის, სამონასტრო ცხოვრების, ქართული გალობისა თუ ორნამენტიკის დიდი კერები, რამაც შემდგომ დასაბამი მისცა ძლიერი და ერთიანი საქართველოს შექმნას. ვფიქრობ, საქართველოს გზა მიდის არა ნატოსკენ და კატოსკენ, ანდა, რუსეთისკენ თუ თურქეთისკენ, არამედ ტაო-კლარჯეთისკენ — იმდროინდელმა კულტურის ასეთმა უდიდესმა კერებმა გადაარჩინა საქართველო.

იმ დღეებში გამუდმებით ოცი წლის წინათ დაწერილი ჩემი ლექსი ჩამესმოდა: „რა მწარე გაკვეთილია არტანუჯი და ტაო“...

როდესაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე საქართველოს ლოცვას, ყოველთვის ძველი ტაოს ბებერი მიწიდან იწყებს დალოცვას, რადგან სიტყვაა ყველაზე დიდი ღვთიური იარაღი და ენერგეტიკის მატარებელი, მწამს, მოვა დრო, ჩვენი თაობა ვერა, მაგრამ მომავალი თაობები აუცილებლად მოესწრებიან ერთიან საქართველოს თავის ისტორიულ საზღვრებში.

ეს იყო ცრემლიანი მოგზაურობა, კულტურის ისეთი ცნობილი მოღვაწეების შემადგენლობით, როგორიცაა — მარიკა კვალიაშვილი, მაყვალა გონაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, გურამ ბოგიაშვილი, რევაზ მიშველაძე, გია ჯამბერიძე, შალვა მატუაშვილი, გელა ჩაგელიშვილი, ქეთი მატაბელი, გია გუგუშვილი და სხვ. (სულ 87 კაცი). სამწუხაროდ, პასპორტში არსებული ხარვეზის გამო ნოდარ ტაბიძე შუა გზაზე, სარფის საბაჟოზე გამოგვაკლდა.

ამ ქვირფასმა დელეგაციამ ყველა ქართულ ტაძარში წირვა-ლოცვა აღავლინა, ხოლო ანსამბლმა „მოძახილმა“ დავით არჩვაძის ხელმძღვანელობით, ქართული საგალობლები დააგუგუნა.

თბილისის მერიის პროექტი გრძელდება და მომავალი ექსკურსია კაპადოკიაში იგეგმება.

**— უკვე გახმიანდა, რომ „ეროვნული მწერლობის“ გრიფით მალე გამოიცემა უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია. როგორ მუშაობთ ამ წიგნზე და რით იქნება გამორჩეული ეს ანთოლოგია?**

— ანთოლოგიის იდეა მე მეკუთვნის. მწერალთა ეროვნული კავშირის ყრილობაზე ა.წ.15 ივნისს ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ აუცილებლად უნდა გამოიცეს უახლესი ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, თარგმანისა და პუბლიცისტიკის ანთოლოგიები.

უკვე მომზადებულია უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგიის 800-გვერდიანი უნიკალური გამოცემა, რომელიც სექტემბრის ბოლოს უკვე სტამბაში ჩაეშვება და „ეროვნული მწერლობის“ გრიფით გამოვა. ამ ანთოლოგიას ამზადებს საგანგებოდ შექმნილი ჯგუფი — ვაჟა ოთარაშვილის (მთავარი რედაქტორი), ტარიელ ხარხელაურის, დავით კახაბერის, ზურაბ თორიას, ზაზა ქინქლაძის, გულო კობიაშვილისა და ვერიკო ზამთარაძის მონაწილეობით.

იხ. 11 გვ.



იშხანი

საქმე №2/1087-08 წ.

## დაუსწრებელი გადაწყვეტილება

### საქართველოს სახელით

5 მაისი, 2009 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოსამართლე — თამარ ჩიხლაძე
განხილვის ფორმა — ზეპირი მოსმენის გარეშე

**მოსარჩელე** — ნატო ხელაძე
**მოპასუხე** — მანანა ბალანჩივაძე
**დავის საგანი** — თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნატო ხელაძემ სასარჩელო განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე მანანა ბალანჩივაძის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე მოთხოვნით:

სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

2007 წლის იანვარში მოსარჩელე ნატო ხელაძემ საგაზეთო რეკლამის მეშვეობით გაიცნო მოპასუხე მანანა ბალანჩივაძე, რომელსაც უნდა მიეყიდა ნატო ხელაძისათვის სააგარაკო სახლი, მდებარე დაბა ვაზიანში. სახლის ნახვის შემდეგ ნატო ხელაძემ გადასცა მანანა ბალანჩივაძეს 1000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი თანხის ნაწილი 500 აშშ დოლარი უნდა გადაეცა მეორე დღეს სახლის საბუთების წარმოდგენის შემდეგ. მოპასუხემ ვერ წარმოადგინა მის მიერ სახლის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც ნატო ხელაძემ უკან გამოართვა გადაცემული თანხა 1000 აშშ დოლარი. ამის შემდგომ მათ შორის გაგრძელდა ჩვეულებრივი კარგი ნაცნობობა, ნატო ხელაძემ მას გადასცა სესხად 1000 აშშ დოლარი, თანხის დაბრუნების დრო უსაშველოდ გაიწელა, მანანა ბალანჩივაძე ტელეფონზეც კი არ პასუხობდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ ნატო ხელაძემ 2007 წლის მაისის თვეში მიაკვლია მანანა ბალანჩივაძეს ახლად ნაქირავებ ბინაში აღმაშენებლის გამზირზე. რამდენიმე დღის სიარულის შემდეგ მოპასუხემ მისცა 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი იმ მოტივით, რომ მალე ელოდებოდა ფულს, — მანანა ბალანჩივაძემ დაწერა ხელწერილი, რომ 2007 წლის 8 ივნისს დაუბრუნებდა მთლიან 950 აშშ დოლარს, აღნიშნული ხელწერილი ხელმოწერით დაადასტურეს მისმა შვილებმაც. მიუხედავად ამისა, მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა:

მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს მოსარჩელე ნატო ხელაძის სასარგებლოდ დაეკისროს 950 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარისა და სახელმწიფო ბაჟის — 100 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ წინამდებარე სარჩელი მიღებული იქნა სასამართლოს წარმოებაში.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2009 წლის 30 იანვარს მიღებული იქნა განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ, რომლითაც მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს ეცნობა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე ნატო ხელაძის სარჩელისა გამო მოპასუხე მანანა ბალანჩივაძის მიმართ, ასევე ეცნობა სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები და სასარჩელო მოთხოვნები. ამავე განჩინებით მოპასუხეს სარჩელზე შესაგებლის წარმოსადგენად განესაზღვრა 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადა და განემარტა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში ზეპირი მოსმენის გარეშე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

დადგენილია, რომ საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნდა 2009 წლის 7 აპრილს. აღნიშნულიდან გამომდინარე სარჩელი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ჩაბარებულად ჩაითვალა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს, ანუ 2009 წლის 14 აპრილის ჩათვლით.

დადგენილია, რომ სასამართლო გზავნილში მითითებულ ვადაში მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს პასუხი (შესაგებელი) ნატო ხელაძის სარჩელზე სასამართლოში არ წარმოუდგენია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1]-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას.

სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 232[1]-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და გააკეთა დასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე მუხლების თანახმად, ეს გარემოებები ამართლებენ იურიდიულად მოსარჩელის მოთხოვნას, ამასთან, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძველი, აღნიშნულიდან გამომდინარე სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სახელმწიფო ხარჯის საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან“... კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არსებული სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე გაწეული იქნა სასამართლო ხარჯი სულ 100 (ასი) ლარის ოდენობით. ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლის ნორმიდან გამომდინარე მოპასუხეს მანანა ბალანჩივაძეს ნატო ხელაძის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 100 (ასი) ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გაწეული სასამართლო ხარჯის ასანაზღაურებლად.

აქვე სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78.1 მუხლის თანახმად „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი „სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს“. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოსათვის უცნობია მოპასუხე ბალანჩივაძის ადგილსამყოფელი, შესაბამისად სასამართლო თვლის, რომ ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე მას საჯარო შეტყობინების მეშვეობით უნდა ეცნობოს აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ, იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 70-78-ე, 201-ე, 232[1]-ე, 233-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით და

**გადაწყვიტა:**

1. ნატო ხელაძის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. მოპასუხეს — მანანა ბალანჩივაძეს ნატო ხელაძის სასარგებლოდ დაეკისროს 950 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა.
3. მოპასუხეს — მანანა ბალანჩივაძეს დაეკისროს მოსარჩელე ნატო ხელაძის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ასანაზღაურებლად.
4. მოპასუხე მანანა ბალანჩივაძეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საჯარო შეტყობინების მეშვეობით;
5. დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინების გამოქვეყნების ხარჯების გადახდა დაეკისროს მოსარჩელე მხარეს.
6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
7. განემარტოს მოპასუხეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გაასაჩივროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (მდებარე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6) საჩივრის შემოტანის გზით მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

**მოსამართლე: თ. ჩიხლაძე.**

### განტევების ვაცი

# ვის უმზადებენ ტახტს?

**ქართული ძიუდოს სამყარო რომ გაიხლიჩა, უკვე რამდენჯერმე გაუწყეთ.**

ბუნებრივია, გაჭიანურებულ კონფლიქტს შედეგიც (უფრო სწორედ – უშედეგობაძ სათანადო მოჰყვა – პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში „ჯვაროსნები" მსოფლიოს ჩემპიონატიდან უმედლოდ დაბრუნდნენ.



ჰოდა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ჯოხი, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელზე შოთა ხაბარელზე გადატყდა: ტატამის ქართველ ოსტატთა უკანასკნელი წარმატებების სულისჩამდგმელი უმუშევარი დარჩა!

და არ იკითხავთ ვინ გახდა მისი მემკვიდრე? ესაა 1989 წლის მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ამირან ტოტიკაშვილი.

ერთი შეხედვით, მისი კანდიდატურის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს – ძიუდოში ჭიპმოჭრილ კაცს თითქმის ყველაფერი კარგად მოეხსენება, მაგრამ მხოლოდ თითქმის.

აი, სწორედ ის არის სართიჭალელის ერთადერთი მინუსი, რაც ამ სპეციფიკურ საქმეში, ვშიშობთ, ყველაზე უფრო დაალალატებს – სამწვრთნელო პრაქტიკის უქონლობა.

ძალიან კარგად ვიცით, რომ გამოცდილება თანდათან მოდის, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, თავიდან შედარებით ნაკლებად საპასუხისმგებლო მისია ჩაგვებარებინა დამწყები სპეციალისტისთვის და შემდეგ გაგვემეტებინა ისეთი „კლიაოზნი" პოსტისთვის, როგორიც ეროვნული ნაკრების თავკაცობაა.

თუმცა, ამით ხომ ის სცენარი შეიცვლებოდა, რომელიც, თუ კულისებიდან გამოსულ ხმებს დავუჯერებთ, უკვე შემუშავებული აქვთ „ზემოთ" და ალბათ, არც მისი განხორციელება გაუჭირდებათ. კერძოდ, საუბარია ტოტიკაშვილის ხანმოკლე სამწვრთნელო კარიერასა და მის შემცვლელად „ვარდ-ყვავილოვანი" ხელისუფლების ფავორიტის დანიშვნაზე. თუ ვცდებით, მალე გამოჩნდება.

**გია პლატონიშვილი**

### ჩვენებური

# სად მიდის ქეცბაია?

**თავიდან ეს ჭორი გვეგონა, მაგრამ როგორც პოპულარულმა რუსულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმაც" რეიტერის ცნობით გუშინდელ ნომერში დაგვიდასტურა, თურმე თემურ ქეცბაიამ და ბერძნულმა გუნდმა „ოლიმპიაკოსმა" გააუქმეს მაისში დადებული სამწლიანი ხელშეკრულება და ქართველი მწვრთნელი ტოვებს საბერძნეთის ჩემპიონ კლუბს. თანაც ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ, სადაც თემურ ქეცბაიამ ძალზე მოკლე ხანში გაიყვანა „ოლიმპიაკოსი", რომელიც წუხელ ჰოლანდიის „ალკმაარს" უნდა შეხვედროდა.**



შეგახსენებთ, რომ ბერძნულმა გუნდმა შესარჩევი ჯგუფის ორ მატჩში უკვე დაამარცხა ბრატისლავის „სლოვანი" და მოლდოვას „შერიფი". ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ ჯგუფში წინა სეზონში ქეცბაიას ხელმძღვანელობით კვიპროსის გუნდი თამაშობდა.

როგორც ამბობენ, ქეცბაიას გუნდიდან წასვლა განაპირობა მის წინააღმდეგ აგორებულმა გულშემატკივრების და პრესის მძაფრმა კრიტიკამ, რაც გამოიწვია ამხანაგურ მატჩში „ერგოტელისთან" დამარცხებამ (0:5ძ და ჩემპიონატის მატჩში „კავალასთან" უგოლო ფრემ.

კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის გაძღოლა უკვე მიანდო ბოჟიდარ ბანდოვიჩს. თუმცა ქართველ გულშემატკივრებს ეს ალბათ ნაკლებად აინტერესებთ. მათ უფრო ის აღელვებთ, თუ სად წავა თემურ ქეცბაია, როდესაც ასე უჭირს საქართველოს ნაკრებსაც და ზოგ სხვა გუნდსაც, მწვრთნელებს კი უცხოეთში ვეძებთ?

### სანთელი

# საწუხარ არს ესე

**ტრაგიკულმა ფაქტმა შეძრა ქართული სპორტული სამყარო – საავტომობილო კატასტროფამ შეიწირა ჰოკეის ეროვნული ფედერაციის თავკაცების დენის დავიდოვისა და ლაშა ცაგარეიშვილის, აგრეთვე ამ უკანასკნელის მეუღლის სიცოცხლე.**



**ისინი თურქეთში, აღნიშნული სახეობის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე მიემგზავრებოდნენ, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის „C" დივიზიონში საქართველოს ნაკრების დაშვების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.**

**ვიმედოვნებთ, ეს საქმე წარმატებით დაგვირგვინდება, რითაც, უპირველესად, დაღუპულთა სულებს დაადგება ნათელი.**

**„სრ" სპორტის რედაქცია.**

### ფეხბურთი



# საპრემიერო ვნებანი

**ჩემპიონთა ლიგის სტარტზე ყველას გვაინტერესებდა, როგორ ითამაშებდა ლადო დვალიშვილის დიდი ძალისხმევით აღზევებული ჰაიფას „მაკაბი".**

ჯგუფურ ეტაპზე შვიდწლიანი პაუზის შემდეგ გასული ებრაული კლუბის პირველი მეტოქე გერმანული გრანდი „ბაიერნი" გახლდათ, რომელიც ბუნდესლიგაში უფერული სტარტის შემდეგ უკანასკნელ ხანს შთამბეჭდავად ბურთაობს და უკვე ლიდერთა ჯგუფის ბინადარი გახდა.

მიუნხენელთა პროგრესის მთავარ მიზეზს – არიენ რობენს, მართალია, ისრაელში გოლი არ გაუტანია, მაგრამ დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ მისმა პარტნიორებმა მასპინძელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა შესვენების შემდეგ გატეხეს. რაც შეეხება ჩვენს თანამემამულეს, იგი საიმედოდ ჰყავდათ ამოკეტილი ბავარიელთა მცველებს.

როგორც ყოველთვის, პირველ ტურსაც ჰყავდა გმირები და ანტიგმირები. კერძოდ, აღსანიშნავია ელიტის დებიუტანტის კვიპროსის „აპოელის" სამაგალითო თავგანწირვა, გრაფიტეს „ჰეთ-თრიკი", ინძაგის, რონალდუს და მიულერის „დუბლი", ხოლო მადრიდის „ატლეტიკომ" კარგა გვარიანად გააწბილა საკუთარი გულშემატკივრები.



**გაუწყებთ სამშაბათის რაუნდის სრულ შედეგებს.**

**„ა" ჯგუფი.** „იუვენტუსი" – „ბორდო" 1:1, „მაკაბი" – „ბაიერნი" 0:3.

**30 სექტემბერს ითამაშებენ:** „ბაიერნი" – „იუვენტუსი", „ბორდო" – „მაკაბი".

**„ბ" ჯგუფი.** „ვოლფსბურგი" – ცსკა 3:1, „ბეშიქთაში" – „მანჩესტერი" 0:1.

**30 სექტემბერს ითამაშებენ:** „მანჩესტერი" – „ვოლფსბურგი", ცსკა – „ბეშიქთაში".

**„გ" ჯგუფი.** „ციურიხი" – „რეალი" 2:5, „მარსელი" – „მილანი" 1:2.

**30 სექტემბერს ითამაშებენ:** „მილანი" – „ციურიხი", „რეალი" – „მარსელი".

**„დ" ჯგუფი.** „ატლეტიკო" – „აპოელი" 0:0, „ჩელსი" – „პორტუ" 1:0.

**30 სექტემბერს ითამაშებენ:** „პორტუ" – „ატლეტიკო", „აპოელი" – „ჩელსი".

### ინტერნეტიდან

## სოჭი ოლიმპიურ ქალაქად აღიარეს




**მოსკოვში ქალაქების სოჭისა და ლოზანას მერებმა ანატოლი პახომოვმა და დანიელ ბრელამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სოჭის მიერთების შესახებ ოლიმპიური ქალაქების საერთაშორისო კავშირისადმი, რომლის შტაბ-ბინა შვეიცარიაშია.**

„ოლიმპიური ქალაქების ოჯახში შესვლა დიდი პატივი, დიდი ნდობაა სოჭისთვის, – თქვა 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის მერმა, – სოჭელები ძალზე მადლიერნი არიან კავშირში შესასვლელად სოჭის ოფიციალური მიწვევისთვის".

პახომოვმა მადლობა გადაუხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკძ აღმასრულებელ დირექტორს ჟილბერ ფელის რჩევებისა და ძვირფასი რეკომენდაციებისთვის, რასაც რეგულარულად აძლევს **სოკი** ქალაქის ხელისუფალთ და სოჭი-2014 საორგანიზაციო კომიტეტს.

## „მანჩესტერ იუნაიტედს" არაყი აჩუქეს

**ლეგენდარული ინგლისური კლუბი ნამდვილად სულისჩამდგმელია მრავალი მეწარმისა და საწარმოსთვის ახალი შედევრების შესაქმნელად.**




კომპანიამ Smirnoff, ფეხბურთის სულისკვეთებით რომ გაიჟღინთა, გადაწყვიტა ახალი ექსკლუზიური არყის გამოშვება, რაც აუცილებლად გაახარებს მანჩესტერელების თაყვანისმცემლებს. არყის ბოთლი გაფორმებულია მიმზიდველად, კლუბის ფერებში და ჰქვია „ჩემპიონთა სული". ეტიკეტზე კი გამოსახულნი არიან „წითელი ეშმაკუნების" ლიდერები – დიმიტარ ბერბატოვი, რიო ფერდინანდი, პაკ ჩჟი სუნი და რაიან გიგზი.

საინტერესოა, ასეთი სასმელის გამოჩენაზე რას იტყვიან თავად ფეხბურთელები? იქნებ რომელიმე მათგანმა სცადოს კიდევაც მისი დაგემოვნება?

## როცა ვალი დაგედება

**ცნობილმა პორნომსახიობმა ქალმა, UFC-ის ყოფილი ჩემპიონის ნახევრადმძიმე წონაში ტიტო ორტისის ცოლმა ჯენი ჯეიბრსონმა და მისმა ყოფილმა ქმარმა ჯონ გრდინმა ვალად აიღეს ჯეიმს გრდინისგან 125 ათასი დოლარი.**



ახლა მევალე მათგან ფულის დაბრუნებას სასამართლოს მეშვეობით ცდილობს. ჯეიმსის თქმით, მან ძმასა და მის სატრფოს 250 ათასი დოლარი ასესხა ჟურნალის Penthouse შესაძენად. მაგრამ მაშინ გარიგება ჩაიშალა, ცოლ-ქმარმა კი მხოლოდ ვალის ნახევარი დააბრუნა.

ჯონი კი აცხადებს, რომ ძმას ფულს მას შემდეგ დაუბრუნებს, როცა გაყიდის თავისი ყოფილი ცოლის სახელობის ღამის კლუბს.

◉ მწარე გაკვეთილი

# საქართველოს გზა მიდის არა ნატოსკენ და კატოსკენ, არამედ ტაოსკენ!..

(მეცხრე გვერდიდან)

ანთოლოგიის ამოსავალი წერტილია 1978 წლის 14 აპრილი ანუ პირველი სახალხო გამოსვლა ქართული ენის დასაცავად. ეს პერიოდია ათვლის წერტილი და აქედან მოყოლებული ყველა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი პოეტის ლექსები შედის ანთოლოგიაში.

ანთოლოგია დალაგებულია პოეტთა ხნოვანების მიხედვით. აქ ნახავთ სრულიად ახალგაზრდა – 17-20 წლის თაობის შემოქმედებასაც. ვფიქრობ, ანთოლოგია იქნება ძველსა და ახალ თაობას შორის გადებული ხიდი. ნიშანდობლივია იმ პოეტთა შემოქმედება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ იყვნენ ცნობილი. მაგალითად, უდროოდ გარდაცვლილი არჩილ ფირცხალავა, თამაზ ბაძაღუა, ღვთისო წიკლაური, ჯანო გიორგაძე, ვოვა მაჩაიძე და სხვები.

ანთოლოგია მრავალ ახალ სახელს შემოიყვანს ქართულ პოეტურ აზროვნებაში და ალბათ, გაჩნდებიან 21-ე საუკუნის ტერენტი გრანელები, გაბრიელ ჯაბუშანურები, შოთა ჩანტლაძეები, ნიკო სამადაშვილები... ეს უცნობი სახელები მკითხველისთვის სიურპრიზად უნდა შემოვინახო.

ანთოლოგია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცემა. ფერად ჩანართებად მკითხველი იხილავს იმ მხატვართა ძვირფას ნამუშევრებს, რომელთაც ქართული წიგნის გამოცემაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ესენი არიან: ლადო გრიგოლია, ნათელა იანქოშვილი, ირაკლი ფარჯიანი, თენგიზ მირზაშვილი და სხვები.

ამ ანთოლოგიასაც თბილისის მერია აფინანსებს. მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო გიგი უგულავას, მამუკა ახვლედიანს, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი თხოვნა და აქტიურად არიან ამ პროექტში ჩართული.

ანთოლოგია ფართო არეალისაა. იგი იქნება უმნიშვნელოვანესი კულტურული შენაძენი მთლიანად ჩვენი ქართული საზოგადოებისთვის და დედაქალაქის სტუმრებისთვის. მას ექნება რეზიუმე უცხოურ ენაზე. ანთოლოგიის ნაწილი გაეგზავნებათ საფრანგეთში, ასევე თურქეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს, ფერეიდანში, საინგილოში მცხოვრებ ქართველებს. ასევე, იგი იქნება ერთგვარი პასპორტი დედაქალაქში ჩამოსული იმ სტუმრებისთვის, რომლებიც დაინტერესდებიან ქართული მწერლობითა და პოეზიით.

უნდა ვისარგებლო შემთხვევით და აქვე დავძინო, რომ 2003 წელს ჩემს მიერ გამოცემული მცირე ანთოლოგია „დედა ქართულ პოეზიაში" შეივსება და უახლოეს მომავალში მკითხველი მიიღებს ახალ გამოცემას, რომელიც წინა კრებულთან შედარებით საკმაოდ დიდი ფორმატისაა და ბევრი ახალი ავტორი დაემატა. იგი ერთი დიდი ტკივილიანი პოეტური ალსარებაა დედის ხატებისადმი.

აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ მერიის უანგარო თანადგომით, „არტ-ფესტივალის" ეგიდით გამოიცემა ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების" მე-9 ნომერიც, რომელშიც აისახება ქართველ ხელოვანთა მოგზაურობის უნიკალური ფოტომასალა ტაო-კლარჯეთში (მე-8 ნომერიც მერიის თანადგომით გამოიცა).

**– თქვენ ვაჟაობის დღესასწაულის გამო კრიტიკულად ხართ განწყობილი. კონკრეტულად, რა არის თქვენი გულისტკივილი?**

– სამწუხაროდ, ამ დღესასწაულს ვაჟაობის მაგივრად ქართული ლექსის ღამე უწოდეს. ლექსის ღამე პოეტზე უკეთესად არავინ იცის და დღესასწაული ვაჟაობაც გარკვეულმა კლანებმა ისევე მიითვისეს, როგორც საბურთალოს ბაზრის ტერიტორია.

ეს ადამიანები ამბობენ, რომ 1961 წლიდან ხალხმა დააარსა ეს დღესასწაული. ყველას გასაგონად უნდა ვთქვა, რომ 1961 წელს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ და პრეზიდიუმმა მაშინდელი პარტიის ცკ-ის წინაშე დააყენა ვაჟა-ფშაველას, როგორც უდიდესი მწერლისა და მოაზროვნის, უკვდავსაყოფი ღონისძიების გამართვის შესახებ და ეს გადაწყვეტილება მაშინდელი პარტიის ცკ-ს მიაღებინა. მან კი შესაბამისად, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის რაიკომის მდივნებს დაავალა ვაჟაობის დღესასწაულის ორგანიზება, რომლის ორგანიზატორიც უპირველესად საქართველოს მწერალთა კავშირი იყო. საქართველოს მწერალთა კავშირი ყველა ვაჟაობის სულისჩამდგმელი გახლდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი აღარ მიიწვიეს ბიზნესის ვარსკვლავების მიერ მოწყობილ უკვე სახელგადარქმეულ დღესასწაულზე.

პირადად ჩემთვის უსიამოვნო იყო, როდესაც „ოლიმპიური ვარსკვლავის" მესვეურმა სიმფონიური მუსიკის თუ ლუდის სმის, ჭიდაობისა და ცხენოსნობის წინა პლანზე გადმოწევით მიჩქმალა დიდი ვაჟას გენია – ქართული სიტყვის ღვთისმსახურება.

ვაჟა-ფშაველა უპირველეს ყოვლისა პოეტი იყო და იგი ქართველი მწერლების დიდი პაპის პაპა უფროა, ვიდრე ზოგიერთი რაზიკაშვილისა. აქ არსებითია სულიერი ნათესაობა. ამიტომაც ამ დღესასწაულის „მესვეურებმა" სამომავლოდ გაითვალისწინონ, რომ საქართველოს მწერალთა კავშირს რჩევა მაინც ჰკითხონ, როგორ და რა ფორმატით ჩატარდეს ვაჟაობა.

**– თქვენ ქალბატონმა ლელა რაზიკაშვილმა გაგაკრიტიკათ, ვაჟაობის დღესასწაულზე პოლიტიკური განცხადებებით გამოდისო...**

– ლელა რაზიკაშვილს ეტყობა არ წაუკითხავს ვაჟა-ფშაველას წერილები: „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი", „რა არის თავისუფლება", რომ პოეტისგან ქვეყნის მდგომარეობის პოლიტიკური შეფასება, თუ ის ჭეშმარიტი მამულიშვილია, პირუთვნელი უნდა იყოს და შენი ერის მდგომარეობის ყველა ტკივილი უნდა გესმოდეს. ჩვენი სამწერლო პაპის პაპები იმიტომ წერდნენ: „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს"... რომ ჭეშმარიტმა პოეტმა მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრას თავის ერს და არა ზოგიერთი მოქალაქეთა კავშირისა და ლევან მამალაძის პრესცენტრებში გამოზრდილი მუზეუმის დირექტორივით საპიარო ღონისძიებები ატაროს.

საქართველოში ალენ დელონის ჩამოყვანის მაგივრად, ასეთ ვარსკვლავ-გოგონებს ურჩევიათ, იმას მიხედონ, რომ ვაჟა-ფშაველა და სხვა დიდი მწერლები უკვე აღარ ისწავლება აღარც სკოლაში და აღარც უმაღლეს სასწავლებლებში იმ დონეზე, როგორც ჩვენს ბუმბერაზ წინაპრებს შეეფერებათ.

სამწუხაროა, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსი „ჩემი ახალი მეკვლე" ლელა რაზიკაშვილს არ წაუკითხავს და, მით უმეტეს, – არც გაუგია, სადაც ჩვენი დიდი მგოსანი მტრის ფეხებთან დაჩოქილ მეკვლეს, რომელსაც ერის ღალატისთვის ტკბილეული და უზრუნველი ცხოვრება მიუღია, ეუბნება: „ადე და წადი იმათთან, ვინც მოგწონს, ვინაც კარგია, სამარის კარამდე ვზიდავ, რაც ზურგზე მკიდავ ბარგია".

ეს ბარგი პოეტისთვის ეროვნული იდეალების ერთგულებაა და არა „მამაძაღლი არქიფოს" სამსახური.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**



ოთხთა ეკლესია

**ვაჟა ოთარაშვილი**

**სასაფლაოზე კასპში**
**დ ე დ ა ს**

**თებერვლის ქარი საფლავებს ვარცხნის,**
**ყოჩივარდები მზეზე თბებიან...**
**იქ ზოლა-ზოლად ნამქერი ჩაცხრა,**
**თუ დედაჩემის თეთრი თმებია?!**
**კვირტი შეიხსნა იასამანმა**
**და ვიცი, ყინვა ამოდ დათუთქავს...**
**აქ ამობურცა იამ სამარე**
**თუ დედაჩემმა ამოისუნთქა?!**

საქმე №2/3625-09

## განჩინება

**საქართველოს სახელით**

**სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

15 სექტემბერი, 2009 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

**მოსამართლე ნანა კალანდაძე**

**მოსარჩელე – ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრი**

**წარმომადგენელი – ნინო აგაშენაშვილი**

**მოპასუხე – გიორგი ნონიაშვილი**

**დავის საგანი – მშობლის უფლების შეზღუდვა**

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2009 წლის 14 მაისს სარჩელით მომართა გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენელმა ნინო აგაშენაშვილმა გიორგი ნონიაშვილის მიმართ მშობლის უფლების შეზღუდვის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2009 წლის 8 სექტემბერს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხე გიორგი ნონიაშვილის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სასამართლომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩათვალა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნათა მიხედვით, სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლომ შეაფასა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და მიიჩნია, რომ ისინი იურიდიულად ამართლებს მოსარჩელის მოთხოვნას, რის შემდეგაც გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გიორგი ნონიაშვილს თავის არასრულწლოვან შვილთან, 2004 წლის 30 აპრილს დაბადებულ მარიამ ნონიაშვილთან მიმართებაში შეეზღუდა მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, მშობლის სხვა უფლება-მოვალეობების შეუზღუდავად, ასევე გიორგი ნონიაშვილს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის სახით 50 (ორმოცდაათი) ლარის გადახდა. მოპასუხეს განემარტა, რომ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება საჩივრის შემოტანა 10 (ათი) დღის ვადაში, გადაწყვეტილების ასლის მოპასუხისათვის გადაცემის დღიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება;

2. მოპასუხეს განემარტოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

3. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".

4. სასამართლო შეტყობინების გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა"-ში გამოქვეყნების ხარჯების გადახდა დაევალოს მოსარჩელე ს.ს.ი.პ. სოციალური მომსახურების სააგენტოს გლდანი-ნაძალადევის სოციალური მომსახურების ცენტრს.

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**მოსამართლე: ნანა კალანდაძე**

◉ ფოტოფაქტი



გიტარისტი იგუანა ცხოვრობს ტაილანდში. მისი პატრონი უკვე 20 წელიწადია წვრთნის თავის აღსაზრდელებს, რომლებსაც შემდეგ ილებენ სარეკლამო რგოლებსა და კინოფილმებში.

**ძმა ავთანდილ ცანავა, რძლები ოქტიაბრინა ანთიძე, ზაირა პირტახია, შვილი ლალი გოგუა, შვილიშვილი დათო შულაია, ძმიწულები დათო, მაია, დიმა ცანავები, დისწული ლია მუქერია, მული შურა გოგუა, მაზლი მირო გოგუა, უახლოესი ნათესავები ვალერი ურუმაშვილი, ლალი დოლიძე, კაკო ხარჩილავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გალში უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანების ნატვრაში სულდამძიმებული, 83 წლის ასაკში გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი**

**ნათელა დიანოსის ასული ცანავა-გოგუა**

**სამოქალაქო პანაშვიდი 19 IX, 15 სთ. აბაშის რაიონის ტყვირის იესოს სახელობის ეკლესიაში.**

**მზალო უსანეთაშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს ეკატერინე სანიკიძეს მამის ვლადიმერ სანიკიძის გარდაცვალების გამო.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## დღის კალენდარი

17 სექტემბერი



ამოდის 05.42
ჩადის 18.06



ამოდის 18.00
ჩადის 04.29

# წლის 260-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 105 დღე.

## მე-15 შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთათი.

**ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა სვიმეონ გარეჯის წინამძღვრისა,** წინამხედველისა და საკვირველთმოქმედისა. წმიდა მღვდელმოწამე ბაბილასი – დიდისა ანტიოქიის ეპისკოპოსისა და მისთანათა სამთა ყრმათა: ურვანოსი, პრილიდიანესი, ეპოლონისა და დედისა მათისა ქრისტოდულასი (251ძ; წმიდა მოწამე ერმიონიასი, – ასულისა ფილიპე დიაკონისა – მოციქულისა (დაახლ. 117ძ; წმიდა ბაბილა ნიკომიდიელისა და მისთანა ოთხმეოცდა ოთხთა ყრმათა (305-311ძ; წმიდა მოწამე თეოდორესი, მიანესი, ივლიანესი და კიონისა (305-311ძ. წმიდა წინასწარმეტყველისა და ღვთისმხილველისა მოსესი (1531 წ. ქრ. შობამდეძ; წმიდა მღვდელმთავრისა იოასაფ ბელგოროდელისა (1911ძ.

**წმიდა მღვდელმოწამე ბაბილა,** დიდი ანტიოქიის ეპისკოპოსი და მასთან ერთად სამი მოწამე ყრმა: ურვანოსი, პრილიდიანე, ეპოლონი და მათი დედა ქრისტოდულა. იმპერატორ დეკიოსის დროს ევნენ ჭეშმარიტი რწმენისათვის და ღირს იქმნენ მოწამეობრიობის გვირგვინისა. მათ ყველამ სულის დიდი სიმტკიცე გამოავლინეს და ბოლომდე მხნედ აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება. დეკიოსის ბრძანებით, მათ თავები მოჰკვეთეს.

**წმიდა ერმიონია** სნეულებათა კურნების ხელოვნებას იყო დაუფლებული და მრავალ სნეულ ქრისტიანს კურნავდა ქრისტეს სახელით.

იმპერატორ ტრაიანეს მემკვიდრის ადრიანეს დროს წმიდა ერმიონია წარდგა წარმართი ხელმწიფის სამსჯავროზე ქრისტიანული სარწმუნოების აღიარებისთვის. იგი სასტიკად სცემეს და კოცონზე შემომდგარ ქვაბში ჩააგდეს, მაგრამ უფალმა თავისი წყალობა მოუვლინა მას და უვნებელი გამოიყვანა წმიდა მოწამე. განრისხებულმა ადრიანემ ბრძანა, თავი მოეკვეთათ მისთვის. როცა მხედრებს დასასჯელად მიჰყავდათ წმიდანი, მათ ხელები გაუშეშდათ. მაშინ მხედრებმა ირწმუნეს ქრისტე და ღრმა სინანულით ფერხთ ჩაუვარდნენ წმიდა ერმიონიას. ამის შემდეგ წმიდა მოწამე ერმიონიამ თავისი სული ღმერთს შეავედრა და მას მიაბარა სული.

**ბაბილა ნიკომიდიელი და მასთან ერთად 84 ყრმა** ევნენ ქრისტეს რწმენის აღიარებისათვის იმპერატორ მაქსიმიანეს დროს. იმპერატორის ბრძანებით მათ თავები მოჰკვეთეს.

**წმიდა მოწამე თეოდორე, მიანი, ივლიანე და კიონი** იმპერატორ მაქსიმიანეს დროს ცხოვრობდნენ და ევნენ ქრისტესათვის. იმპერატორის ბრძანებით ისინი შეიპყრეს და დასასჯელად ქალაქში წაიყვანეს. წმიდა მოწამეებმა სიკვდილით დასჯის წინ მცირე დრო ითხოვეს სალოცავად და შემდეგ სიხარულით მიაბარეს უფალს თავიანთი სულები.

## დაიბადნენ:

**1826 – გეორგ ფრიდრიხ რიმანი,** დიდი გერმანელი მათემატიკოსი. გარდაიცვალა 1866 წელს.

**1857 – კონსტანტინ ციოლკოვსკი,** რუსი მეცნიერი და გამომგონებელი აეროდინამიკისა და რაკეტების დარგში. გარდაიცვალა 1935 წელს.

**1893 – ვიქტორ ნოზაძე,** მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1975 წელს.

**1899 – ვერა ბარდაველიძე,** ეთნოგრაფი, პროფესორი. გარდაიცვალა 1970 წელს.

**1906 – სესილია თაყაიშვილი,** გამოჩენილი მსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1701 – იაკობ II,** დიდი ბრიტანეთის მეფე.

**1838 – ანტუან ჟუსიე,** ფრანგი ბოტანიკოსი.

**1918 – ლალიონი (არსენ მამულაიშვილიძ,** მწერალი და პედაგოგი.

## მოვლენები:

**1787** – მიიღეს აშშ-ს კონსტიტუცია.

**1922** – ბერლინში მოეწყო პირველი ჩვენება ხმოვანი ფილმისა.

**1939** – გერმანიამ დაიპყრო პოლონეთი.

**1957** – სოფი ლორენი და კარლო პონტი დაქორწინდნენ მექსიკაში.

**1983** – ვანესა ვილიამსი პირველი შავკანიანი ქალი გახდა, რომელმაც „მის ამერიკის" ტიტული მოიპოვა.

**1991** – გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 46-ე სესია, რომელმაც გაეროს ახალ წევრებად მიიღო ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა და მარშალის კუნძულები.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**აშშ** – ამერიკელი მოქალაქის დღე.

**ანგოლა** – გმირების დღე.

სტუდენტთა საერთაშორისო დღე.

მშვიდობის საერთაშორისო დღე.

მედიანიუსი

## სულიერება

# ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის – „შეუწველი მაყვლის" დღესასწაული



**17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღვთისმშობლის ხატის „შეუწველი მაყვალი" ხსენების დღეს აღნიშნავს.**

ცნობილია, რომ მარიამ ღვთისმშობელს ხშირად უწოდებენ შეუწველ მაყვალს და მას ცეცხლოვანი ნათლით განათებულს გამოსახავენ.

მოსე წინასწარმეტყველმა ღვთისმშობლის წინასახე იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და... არ იწვოდა! ქალწული შობს და ქალწულადვე რჩება.

ხატი „შეუწველი მაყვალი" რვაქიმიანი ვარსკვლავის სახით არის გამოსახული...

რვაკუთხედის შუაგულში ყრმა ღმერთთან ერთად ყოვლადწმინდა ქალწულია გამოსახული, წითელი ოთხკუთხედის კუთხეებში კი – ადამიანი, ლომი, ზვარაკი და არწივი, როგორც ხილული ნიშნები, ოთხი მახარებლის მონათხრობის თავისებურებებზე – ღვთაებრივი და უსხეულო ცეცხლის ცხოვრებისა და სწავლების შესახებ, ყოვლადწმინდა (ღვთისმშობელმაძ ქალწულმა თავის წიაღში დაუწველად რომ მიიღო.

გიული ლიპარტია

## ინფორმაცია

# შეტაკება სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის

სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა აზერბაიჯანელ სამხედროებს ცეცხლი გაუხსნა. ინციდენტი ხოჯავანის რაიონში მოხდა. სროლას აზერბაიჯანის მხრიდან საპასუხო ცეცხლი მოჰყვა. ორმხრივი სროლა სამხედროებს შორის დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა.

დაღუპულებისა და დაჭრილების შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე არ გავრცელებულა.

კავკასიის საკითხებში ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადებით, სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მომხდარი ახალი ინციდენტები კავკასიის რეგიონზე გავლენას ვერ მოახდენს.

როგორც მან განაცხადა, ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით შეთანხმება მოხერხდა და 5-წლიანი მორატორიუმი, სავარაუდოდ, ძალაში წლის ბოლოდან შევა.

არეშიძის თქმით, მორატორიუმის ფარგლებში, სომხეთი აზერბაიჯანს, 7 რაიონიდან 5 რაიონს გადასცემს 5 წლის განმავლობაში, რისთვისაც ლაჩინის კორიდორი გაკეთდება, სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნა გახდება შესაძლებელი. მორატორიუმის ფარგლებში სომხეთმა უარი უნდა თქვას 1915 წლის სომხეთის გენოციდის საკითხების განხილვაზე, რის გამოც სომხეთის საზოგადოების ნაწილს ცალსახა პოზიცია არ გააჩნია და ნევროზულ მდგომარეობაში იმყოფება.

ҲО-ЭОВ-ЭБО

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



1 აშშ 1.6785 ლარი
1 ევრო 2.4526 ლარი
1 გირ. სტ. 2.7680 ლარი
100 რუბლი 5.4164 ლარი
1000 სომ. დრამა 4.4502 ლარი
1 აზ. მან. 2.0892 ლარი
10 უკრ. გრივნა 2.0989 ლარი
1 თურქ. ლირა 1.1272 ლარი
10 ჩინ. იუანი 2.4579 ლარი



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +22 |
| ქუთაისი. | +17 – +20 |
| ბათუმი. | +19 – +19 |
| ზუგდიდი. | +16 – +20 |
| თელავი. | +13 – +21 |

## კადრი



## ანეკდოტები

– რატომ არა აქვს თქვენს ვაცს რქები?
– იმიტომ, რომ ჩვენი თხა პატიოსანია!

* * *

ეკლესიაში გამართული კრებიდან ახალგაზრდები გამოდიან, ერთმანეთს ელაპარაკებიან, ერთურთს ეცნობიან.

– მე პავლე მქვია. არა მოციქული.

– მე პეტრე მქვია. არა წმინდანი.

– მე მარიამი მქვია. არც ვიცი, რა ვთქვა...



* * *

გუშინ თავს დაესხნენ ადვოკატს. გატაცებულია მილიონი დოლარი. საინტერესოა, რომ დანაშაულის შესახებ განცხადება შეიტანა არა ადვოკატმა, არამედ ჩინოვნიკმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა და რომლისთვისაც მიჰქონდა ადვოკატს ის ფული.

* * *

ჩვენი ქვეყანა თევზივითაა – თავიდან იწყებს ლპობას. მაგრამ თუ მის გაწმენდას მოისურვებენ, ამას, რატომღაც, ბოლოდან იწყებენ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.